ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 აგვისტო, 2020 | №171 (8435) | ფასი: 60 თეთრი

## თამარ ბაჩალიაშვილი: „პირადად მე უძლური ვარ მის წინაშე“

ოჯახმა შსს-ს ახალი მტკიცებულებები გადასცა

გვ.5



# გახარია კალაძეს 6%-ით უსწრებს, ივანიშვილს — 22%-ით



გვ.2

## „ქართული ოცნება — 33%, ნაციონალური მოძრაობა — 16%, „ევროპული საქართველო“ — 5%

## სერგო რატიანი: „ივანიშვილს ორი არჩევანი აქვს, ან წააგებს და სახლში წავა, ან სანქციებს დააკისრებენ“

გვ.2



„სპეკულაციებს არ დავიწყებ, მაგრამ თუ პანდემიის გამოყენება დაიწყეს, ივანიშვილი სანქციებს მიიღებს“

## „ოცნება“, მამუკა ხაზარაძე და ნაციონალური მოძრაობა ერთი და იგივეა“

გვ.3



გედევან ფოფხაძე: „ქართული ოცნების“ ამოცანაა, სახელმწიფო მოარგონ ვანო ჩხარტიშვილისნაირ ფსევდობიზნესმენებს, რომლებიც მერე ქართველი ხალხის ჩაგვრითა და აბუჩად აგდებით იქნებიან დაკავებულები“



გვ.4

## ანზორ ბიწაძე: „ჩვენ მოვახერხებთ „ქართული ოცნების“ გადაყვანას ოპოზიციაში“

„მალე მთელი ოპოზიცია ხმების დათვლის დეკლარაციას მოაწერს ხელს“



## შოთა მალაშხია: „ჩვენი არჩევნები ბელარუსზე უკეთესი არ არის“

გვ.4

გვ.3

## მაია ნიკოლაიშვილი: „ნაციონალებს სჯობს, სირცხვილის გრძნობა გაუჩნდეთ და არა კითხვები“



ISSN 1987-9385

2 გახარია: „ოცნების“ სიის პირველი ნომერი ვიქნები თუ ბოლო, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს“

5 გორში 17 წლის გოგო, რომელსაც მეორე დღეა ეძებდნენ, იპოვეს

2 სერგი კაპანაძე: „კვლევა მანიშნებელია, რომ „ქართული ოცნება“ დაღმასვლას განიცდის“

6 ვინ არის სვეტლანა ტიხანოვსკაია. ბელორუსში აქციები არ წყდება

# სერგო რატიანი: „ივანიშვილს ორი არჩევანი აქვს, ან წააგებს და სახლში წავა, ან სანქციებს დააკისრებენ“

## „სპეკულაციებს არ დავიწყებ, მაგრამ თუ პანდემიის გამოყენება დაიწყეს, ივანიშვილი სანქციებს მიიღებს“

იაგო ნაცვლიშვილი

**ხომ არ შეიტანს პანდემია კორექტირებას საარჩევნო პროცესში, რას ელოდებიან ამ მიმართულებით და ხომ არ დაიწყო ხელისუფლებამ საარჩევნო პროცესში ძალოვნების ჩართვა? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი საუბრობს.**



***– ვხედავთ, რომ პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები რთულდება. როგორ განიხილავთ ამას არჩევნების კონტექსტში და ხომ არ ელოდებით კორექტირებას ამ თვალსაზრისით?***

– ამ თემით წინასწარ სპეკულირებას არ დავიწყებ და მსგავს განცხადებებს არ გავაკეთებ, რომ რაღაცა შეთქმულების თეორიებზე ვილაპარაკო. ამ შემთხვევაში მსგავსი სცენარის განვითარებას არ ვურჩევდი ხელისუფლებას. მოსახლეობა ძალიან კარგად ხვდება და მას კარგად ესმის, სად არის რეალობა და სად არ არის. ამიტომ ამ სცენარს უბრალოდ არ ვუსურვებდი ხელისუფლებას, მით უმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში.

***– თუმცა, გარკვეული ეჭვები მაინც გიჩნდებათ, როგორც თქვენი საუბრიდან მივხვდი. ასეა?***

– თავისთავად. კანონი, რომელიც მიიღეს, ის არის არადემოკრატიული. ფაქტობრივად, საგანგებო ვითარების პირობებში გვიწევს საარჩევნო კამპანიის ჩატარება. ამ ვითარებაში შესაძლოა, რომ ხელისუფლებამ დახუროს ესა თუ ის ოლქი. ამ შემთხვევაში, შეუძლებელია გაიგო რეალურად რა ხდება. საგანგებო მდგომარეობა ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარლამენტის წინაშე.

სხვათა შორის, ამით რისკი არ იქმნება იმის, რომ დაგვიანდეს ესა თუ ის ქმედება. ხელისუფლებას ისედაც ჰქონდა საშუალება, რომ ჯერ დაეხურა და შემდეგ დაეწყო დებატები, მაგრამ მის გარეშე აპირებენ.

***– რატომ გააკეთეს ეს? რა მიზანი ჰქონდათ ამით?***

– იმ მიმართულებით იქმნება კითხვები, რაზეც თქვენ საუბრობთ. მე წინასწარ არ მინდა საუბარი, რა იქნება. მე უბრალოდ არ ვურჩევ ხელისუფლებას, რამე გააკეთოს ამ მიმართულებით. ეს მისთვის დამანგრეველი იქნება. თავისთავად კანონი, რომელიც არსებობს, რომელიც მიიღეს, აქ თავისუფლად შეგვიძლია ვისაუბროთ დემოკრატიის შეზღუდვაზე. იგივე სვანეთთან მიმართებაში. იქ არის რაღაცა შემთხვევები, თუმცა ანგარიშვალდებულება არ არის. პარლამენტში მოაქვს ეს ვითარება და პარლამენტარები, როდესაც კრიტიკულ კითხვებს სვამენ, მსგავსი რაღაცა არ არის. პრობლემაა ის, ხელისუფლებამ რომ გადააჭარბოს, ამაზე კონტროლის საშუალება არ არის.

მაგალითად, ახლა სვანეთის რეგიონში დასახელებული რომ არის მაჟორიტარობის კანდიდატი, ის მთელ სვანეთში ვერსად ვერ შევა. ეს წინასაარჩევნოდ რას ნიშნავს? ამიტომ, მსგავსი რაღაცების გაკეთება ძალიან უკანდახევა იქნება დემოკრატიისგან და ამ ხელისუფლების მიმართ არსებობს საფუძვლიანი პრეტენზიები, რომ არადემოკრატიული ხელისუფლებაა. ბევრი მიმართულებით უკანდახევასთან გვაქვს საქმე. ბევრი შენიშვნა და კრიტიკა ისმის მის მიმართ. თუ ასე წავიდა საქმე და ამ მიმართულებით დაიწყეს ქმედებები, ხელისუფლება სანქციების ქვეშ მოხვდება. პირადად ბიძინა ივანიშვილი მოხვდება სანქციების ქვეშ.

***– თქვენ თქვით, რომ თუ ხელისუფლება ასე მოიქცევა, ეს მისთვის დამანგრეველი იქნებაო. ამაში სანქციებს გულისხმობთ თუ სხვა რამე გაქვთ მხედველობაში?***

– ჯერ ერთი, განწყობას ვგულისხმობ. არაფერი არ იმალება და ყველას კარგად ესმის, რა შეიძლება მოხდეს. თუ ხელისუფლებამ თავის ძალაუფლებას გადააჭარბა, ეს ხალხის განწყობებზე იმოქმედებს და ძალიან სერიოზულ საპროტესტო საფუძვლებს გააჩენს.

მეორე, ბუნებრივია, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ცხადი ხდება, რომ აქ შეიზღუდა დემოკრატია. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რა მდგომარეობაშია ეკონომიკა. ყოველი გადაჭარბებული ძალაუფლება შესაძლოა ძალიან მძიმე შედეგის მომტანი იყოს ეკონომიკისათვის.

სამი მიმართულებაა, ერთია ობიექტური აღქმა, რომელიც აქვს ამა თუ იმ რეგიონის მცხოვ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გახარია კალაძეს 6%-ით უსწრებს, ივანიშვილს — 22%-ით




გუშინ, 12 აგვისტოს, საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა ივნისისა და ივლისის თვეებში ჩატარებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა ყველაზე მეტის, 89%-ის კეთილგანწყობილებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II სარგებლობს, ყველაზე ნაკლების, 13%-ის კი პარტია „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე. ილია II-ს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს აქვს.

კეთილგანწყობის მიხედვით პატრიარქის შემდეგ პროცენტულობა შემდეგია:

ამირან გამყრელიძე 74%
გიორგი გახარია 63%
კახა კალაძე 57%
დავით ბაქრაძე 53%
შალვა ნათელაშვილი 42%
ბიძინა ივანიშვილი 41%
გრიგოლ ვაშაძე 41%
გიორგი ვაშაძე 40%
დავით უსუფაშვილი 37%
ნიკა მელია 36%
ალეკო ელისაშვილი 34%
არჩილ თალაკვაძე 34%
გიგი უგულავა 32%
სალომე ზურაბიშვილი 32%
ირაკლი ოქრუაშვილი 30%
ირმა ინაშვილი 28%
მამუკა ხაზარაძე 27%
ნინო ბურჯანაძე 25%
ეკა ბესელია 17%
ბადრი ჯაფარიძე 14%
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე 13%

ჩამოთვლილთაგან 14%-ს არ გაუგია ბადრი ჯაფარიძის სახელი, 5%-ს ალეკო ელისაშვილის, ხოლო 4%-ს – არჩილ თალაკვაძის.

ყველაზე დაბალი ნეგატიური რეიტინგი ილია II-ს შემდეგ აქვს ამირან გამყრელიძეს – 17%, გიორგი გახარიას 31% და კახა კალაძეს 37%, ყველაზე მაღალი ნეგატიური რეიტინგი კი ზურაბ ჯაფარიძეს – 72%.

კვლევა 4 ივნისიდან 2 ივლისის პერიოდში, პირისპირი ინტერვიუს სახით ჩატარდა. კვლევამ საქართველოს 1.500 მოქალაქე მოიცვა.

კვლევის ცდომილება პლუს/მინუს 2,5-ია.

# „ქართული ოცნება“ — 33%, ნაციონალური მოძრაობა — 16%, „ევროპული საქართველო“ — 5%

## კვირას რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხული მოსახლეობის 33% „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ მისცემდა ხმას. (მეორე არჩევანი-2%)

კვლევის მიხედვით გამოკითხული მოსახლეობის 16% მხარს უჭერს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – გაერთიანებულ ოპოზიციას. (4% მეორე არჩევანი)

მესამე ადგილზეა „ევროპული საქართველო“, რომელსაც მხარს უჭერს გამოკითხული მოსახლეობის 5%. (6% მეორე არჩევანი)

გამოკითხული მოსახლეობის 3% მხარს უჭერს „ახალი საქართველოს“ – „სტრატეგია ალმაშენებელს“. (4% მეორე არჩევანი)

„პატრიოტთა ალიანსს“ გამოკითხული მოსახლეობის 3% უჭერს მხარს. (5% მეორე არჩევანი) .

„ლეიბორისტულ პარტიას“ მხარს უჭერს 2 პროცენტი. (4% მეორე არჩევანი)

„სამოქალაქო მოძრაობას“ გამოკითხული მოსახლეობის 2 პროცენტი უჭერს მხარს. (3% მეორე არჩევანი).

„ლელო საქართველოს“ გამოკითხული მოსახლეობის 2 პროცენტი უჭერს მხარს. (3 % მეორე არჩევანი)

„გირჩს“ მხარს უჭერს გამოკითხული მოსახლეობის 2 პროცენტი. (1 % მეორე არჩევანი)

გამოკითხული მოსახლეობის 17-მა პროცენტმა არ იცის, რომელ პარტიას დაუჭერს მხარს, 11 პროცენტმა პასუხზე უარი თქვა.

# გახარია: „ოცნების“ სიის პირველი ნომერი ვიქნები თუ ბოლო, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს“




– ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რომელი ნომერი ვიქნები. მერწმუნეთ, რომ ამით არ არის განსაზღვრული ის ძალისხმევა, რომლითაც მე ვიბრძოლებ ამ გამარჯვებისთვის უახლოესი თვეების განმავლობაში, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რითაც უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რომელი ნომერი იქნება პარტიის საარჩევნო სიაში.

მისი თქმით, ამ ეტაპზე პირველი ათეული ცნობილი არ არის.

– ჯერ პირველი ათეული ცნობილი არ არის. ზოგიერთებს რომ ეჩქარებათ, ჩვენ საქმე გვაქვს გასაკეთებელი და მაგასაც მოვასწრებთ. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ნომერი ვიქნები. მერწმუნეთ, რომ ამით არ არის განსაზღვრული ის ძალისხმევა, რომლითაც მე ვიბრძოლებ ამ გამარჯვებისთვის უახლოესი თვეების განმავლობაში. პირველი ვიქნები თუ ბოლო ნომერი, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, – განაცხადა გახარიამ.

# სერგი კაპანაძე: „კვლევა მანიშნებელია, რომ „ქართული ოცნება“ დაღმასვლას განიცდის“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, სერგი კაპანაძე აცხადებს, რომ „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (სრი) კვლევის მიხედვით, ხელისუფლების მიმართ ნდობა 33 პროცენტზე დაეცა, რაც „სერიოზული დაღმასვლაა“.

კაპანაძის განცხადებით, „ქართული ოცნება“ არჩევნებზე აუცილებლად დამარცხდება.

მისივე თქმით, კვლევის მიხედვით, ოპოზიციური პარტიების ჯამური რეიტინგი „ქართული ოცნების“ რეიტინგზე მეტია.



– ხელისუფლების ნდობა ჩამოვარდა 33%-ზე, რასაც სხვა კვლევებს თუ შევადარებთ, სერიოზული დაღმასვლაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს დაღმასვლა გაგრძელდება. ამ კვლევაში ჩანს, ხალხს რა აწუხებს ყველაზე მეტად – გაზრდილი ფასები და უმუშევრობა, რაზეც არანაირი პასუხი არ აქვთ.

მეორე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ოპოზიციური პარტიების ჯამური რეიტინგი „ქართული ოცნების“ რეიტინგზე მეტია.

მესამე, კვლევაში ჩანს ის, რომ ერთი მესამედი მოსახლეობის „ქართულ ოცნებას“ მხარს არ დაუჭერს. ეს სამი კომპონენტი ერთად არის კარგი მანიშნებელი იმის, რომ „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებზე აუცილებლად დამარცხდება, – განაცხადა კაპანაძემ.

# „ევროპული საქართველო“ საარჩევნო პლაკატების გაკვრის გამო დააჯარიმეს

„ევროპული საქართველო“ იუსტიციის სამინისტროსთან საარჩევნო პლაკატების გაკვრის გამო დააჯარიმეს.




როგორც პარტიაში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, პლაკატები სამინისტროს მოპირდაპირე მხარეს, ღობეზე გააკრეს, თუმცა მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა ჩამოხსნეს.

„ევროპულ საქართველოში“ ამბობენ, რომ როგორც მათ განუმარტეს, ჯარიმა ქალაქის იერსახის დამახინჯებისთვის გამოუწერეს.

ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციაც.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მაია ნიკოლაიშვილი: „ნაციონალებს სჯობს, სირცხვილის გრძნობა გაუჩნდეთ და არა კითხვები“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლაიშვილი პასუხობს.**

***– ქალბატონო მაია, როგორც ექსპერტს, მინდა გკითხოთ, რას აძლევს გამოძიებას ექსპერტიზის შუალედური დასკვნა? პროკურორმა ისაუბრა შაქარაშვილის დაღუპვის გარემოებებზე და განაცხადა, რომ გამოძიების მიერ მოპოვებულ საქმეში დევს შუალედური დასკვნა, რომელიც წარმოადგენს გამოძიების მტკიცებულებას. ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ადვოკატებმა და სხვებმა თქვეს, რომ გამოძიება სათანადოდ არ ტარდება და ექსპერტიზის შუალედური დასკვნა გამოძიებას სრულ ინფორმაციას არ აწვდის. ამიტომ მასზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება სწორი არ არის. რას აძლევს გამოძიებას შუალედური ექსპერტიზის დასკვნა?***

– მე მგონი, ეს შუალედური ექსპერტიზა კი არ არის, ექსპერტიზის ნაწილია, რომელიც საბოლოოა.

***– როგორ?***

– პასუხი კონკრეტულ კითხვებზეა გაცემული, რომელიც არის საბოლოო. ამიტომ ის შუალედური არ არის. როგორც ვიცი, რამდენიმე კითხვაზე პასუხი გასაცემია. როცა იმ კითხვებზე პასუხი გაიცემა, ისიც საბოლოო იქნება. უბრალოდ, კითხვები ორ ნაწილადაა გაყოფილი – კითხვების ნაწილს პასუხი გასცეს და გაუგზავნეს გამოძიებას, ნაწილს მომავალში გასცემენ და გაუგზავნიან.

შუალედური დასკვნაა, როდესაც რაღაც დადგინდა, რაღაც კი მერე უნდა დადგინდეს. როგორც მე მოვისმინე, იქ დასმულ კითხვებზე პასუხი ამომწურავია და დამატებითი კვლევა აღარ სჭირდება. უბრალოდ, დასკვნა ორადაა გაყოფილი.

კითხვები ბავშვებს რომ აქვთ, იმდენი არავის აქვს, მაგრამ გამოძიებასაც და დაცვასაც თავისი სტრატეგია აქვთ. როგორც ჩანს, გამოძიების სტრატეგია ასეა გამართლებული. ასეთია გამოძიების სტრატეგია. აქედან გამომდინარე, გამოძიების სტრატეგია როგორი იქნება, არც ოპოზიციას ეკითხება ვინმე, არც – ჟურნალისტებს, არც – საზოგადოებას, შეიძლება ეს ჩვეულებრივი სტრატეგიაა.

როდესაც ბრალდებულის მხარეს ვართ ჩართული, არის რაღაც, რასაც დროზე ადრე არ ვაჩენთ, რაღაცას არ ვამბობთ. ვამხელთ რაღაც ნაწილს. ეს არის დაცვის სტრატეგია. ჩვეულებრივი, საღი პროცესია. შტერულად ყველაფრის კითხვა და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, სტრატეგიის არ ქონა იქნება.



***– თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ საზოგადოებას, ოპოზიციას და ჟურნალისტებს შეუძლიათ დასვან კითხვები და საგამოძიებო ორგანოს ნამუშევარი შეაფასონ.***

– შეფასება შეუძლიათ, თუ მათ შესაბამისი კომპეტენცია აქვთ. სხვა შემთხვევაში არასწორად შეფასება დანაშაულია. სამწუხაროდ, დღეს უმეტესობა აფასებს იმას, რაშიც მისი შეფასების კომპეტენცია ნულია. არ შეიძლება მე ბირთვულ ფიზიკაზე ვილაპარაკო. ჩემი კომპეტენცია ბირთვულ ფიზიკაში ნულია.

როგორც ვხედავთ, დღეს ყველა აფასებს იმას, რის შეფასების კომპეტენციაც არ აქვს. ელემენტარულად, ამბავი ხომ უნდა გესმოდეს რომ აფასებ. გუშინ ბატონ ბესო კილასონიას ვუსმენდი და თავმოყვარეობა ცოტა დამიწყნარდა. ამგვარი საქმის შეფასებისთვის სპეციალური, ურთულესი ცოდნა ყველას არ აქვს, მაგრამ ყველამ შეფასება დაიწყო.

ასეთი ურთულესი საქმის შეფასებას უზარმაზარი ცოდნა სჭირდება. სახელმძღვანელო არსებობს, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მილიონი ვარიანტი უნდა იცოდე, რა ლავირება შეიძლება მოხდეს კონკრეტულ ფარგლებში. ამიტომ შეაფასოს იმან, ვისაც ცოდნა აქვს.

გია მეფარიშვილმა კითხვები რომ დასვას და ეჭვი შეიტანოს, რა თქმა უნდა, დავიჯერებ იმიტომ, რომ ის კომპეტენტურია. ადამიანი, რომელიც არ არის კომპეტენტური, მის შეფასებას ვერ დავიჯერებ.

***– პროკურორის ბრიფინგის შემდეგ, მურთაზ ზოდელავამ შეაფასა და ეჭვი შეიტანა შაქარაშვილის საქმის გამოძიებაში. მოგეხსენებათ, ზოდელავა მთავარი პროკურორი იყო. მას არ შეუძლია შეფასება?***

– ზოდელავას კონკრეტული პოლიტიკური ინტერესი და დაკვეთა აქვს. ზოდელავას მთავარი პროკურორობის პერიოდში რომ ბოროტება ხდებოდა, მაშინ რატომ არ უჩნდებოდა კითხვები? ზოდელავაზე, ზოგადად, მეტ კომენტარს არ გავაკეთებ.

***– მაინც, რატომ?***

– რა სიბოროტეც გააკეთა ზოდელავამ მისი პროკურორობის დროს, მაშინ კითხვები რატომ არ გაუჩნდა იმ სიბოროტეებზე, რაც გააკეთა? ზოდელავას მეტად აღარ ვახსენებ, რადგან ჩემთვის, ზოდელავა, როგორც პროკურორი, სიბოროტის სიმბოლოა. ზოდელავამ უნდა ილაპარაკოს დღევანდელ გამოძიებაზე და ეჭვი შეიტანოს? რა მორალური უფლებით, მითხარით და კი.

ზოდელავა რომ გაჩუმდებოდეს, კარგს იზამდა. ზოდელავას ისეთი საქმეები აქვს ნაკეთები, საზოგადოებაში ადამიანი გამარჯობას არ ეტყვის. რაც მაგან თავისი პროკურორობის დროს გააკეთა, ხმა როგორ უნდა ამოიღოს.

***– რაც გააკეთაო, როდესაც ამბობთ, კონკრეტულად, რას გულისხმობთ?***

– ნაციონალების პროკურორს, რომლის დროსაც უამრავი ადამიანი უსამართლოდ იყო დასჯილი, ხმა არ ამოუღია სიმართლის დასაცავად. მაშინ რატომ არ უჩნდებოდა კითხვები, როცა უსამართლოდ, უკანონოდ იქცეოდნენ, როცა უბედურება ხდებოდა? ნაციონალების დროინდელი დანაშაულობები, მე მგონი, კარგად იცით. სჯობს, სირცხვილის გრძნობა გაუჩნდეთ და არა კითხვები.

***– სირცხვილის გრძნობა არ უჩნდებათ, ხალხს აქეთ ანამუსებენ.***

– ანამუსებენ იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ამას მივეჩვიეთ და პასუხს არ ვცემთ. ნაციონალები ჩვენ ასე არ გვექცეოდნენ. ოდნავ განსხვავებულ მოსაზრებას შანთავდნენ. ჩვენ კი მათ ვუსმენთ. ვინ არის ზოდელავა, რომ მისი აზრი ვაკომენტარო.

# „ოცნება“, მამუკა ხაზარაძე და ნაციონალური მოძრაობა ერთი და იგივეა“

## გედევან ფოფხაძე: „ქართული ოცნების“ ამოცანაა, სახელმწიფო მოარგონ ვანო ჩხარტიშვილისნაირ ფსევდობიზნესმენებს, რომლებიც მერე ქართველი ხალხის ჩაგვრითა და აბუჩად აგდებით იქნებიან დაკავებულები“



ნათია ხურცილავა

**„ჩვენი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, პრემიერი გახარია ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ სტრატეგია მომავალზე იქნება ორიენტირებული. რამდენად გჯერათ, რომ მათი აქცენტი ცხრაწლიან მმართველობაზე კი არ იქნება, არამედ ქვეყნის განვითარებაზე?***

– „ოცნებაში“ როდესაც ვიყავი, „ოცნება“ იყურებოდა არა მომავლისკენ, არამედ საკუთარი ჯიბეებისკენ. არ გამოვრიცხავ, რომ საკუთარი მოვალის, საკუთარი ოჯახების, ცოლ-შვილის მომავლისკენ, მართლაც იყურებიან. ქვეყნის მომავალი რომ მათ არ აინტერესებთ, ეს სრული პასუხისმგებლობით შემიძლია დაგიდასტუროთ. რადგან მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც „ოცნებაში“ ვიყავი, ამას ვუყურე, გავიაზრე და მივხვდი, რომ ეს ხალხი ღუპავს ჩემს სამშობლოს და მართმევენ მომავალს. კობახიძე, ვოლსკი, სხვები თავიანთ მომავალს შეიძლება ქმნიან. სახელმწიფოს ტკიპასავით მიმჯდარი მოღალატეები ქვეყნის ხარჯზე სახლებს იშენებენ და ცხოვრებას იწყობენ.

***– ვინ?***

– ჩახარტიშვილები, ჯანყარაშვილები, სხვები.

ამიტომ, რა რიტორიკაზე იქნება „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია აგებული, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. არა აქვს, რადგან ზუსტად ვიცი, რომ ეს არის ანტიქართული, ანტისახალხო, ანტიმართლმადიდებლური კომპანია. რომლის ამოცანაც არის ქართული სახელმწიფოს პირად სამსახურში ჩაყენება და, რაც მთავარია, მოარგონ ვანო ჩხარტიშვილისნაირ ფსევდობიზნესმენებს, რომლებიც მერე ქართველი ხალხის ჩაგვრითა და აბუჩად აგდებით იქნებიან დაკავებულები. ეს არის მთელი მათი ფილოსოფია.

ამიტომ, ჩვენი ამოცანა იქნება ხალხის გაერთიანება და საყოველთაო-სახალხო მობილიზება, რათა მჩაგვრელების ადგილი იყოს გლდანის იზოლატორში და არა პარლამენტში.

***– რამდენად შეძლებს ოპოზიცია, რომ „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნებზე ღირსეული ოპონირება გაუწიოს?***

– მე, დღეს, პოლიტიკურ სპექტრს არ ვყოფ „ოცნებად“ და ოპოზიციად, რადგან „ოცნება“, მამუკა ხაზარაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი და იგივეა. არავითარი განსხვავება არ არის ივანიშვილს, სააკაშვილსა და ხაზარაძეს შორის. არის ადამიანების მხოლოდ 2-3%, რომლებიც ამ ქვეყნის მთელ დოვლათს ინაწილებენ, დანარჩენი 98% კი მათ მიერ არის დაჩაგრული და გროშებზეა. ადამიანები მორჩილებად აქციეს. სწორედ ეს მოცემულობა უნდა დავანგრიოთ, ამას უნდა მოვერიოთ. ან ქართველი ხალხი იბრუნებს სამშობლოს და დამნაშავეები მიდიან გლდანის იზოლატორში ან მივიღებთ იგივე რეალობას, როდესაც მხოლოდ გვარები იცვლება. იყო სააკაშვილი, მოვიდა ივანიშვილი. იყო ივანიშვილი და მოვა ვიღაც სხვა გვარი. ეს მოცემულობა არის შესაცვლელი, თორემ გვარების ცვლას რა მნიშვნელობა აქვს?!

***– რამდენად არის შესაძლებელი ამ მოცემულობის შეცვლა?***

– ეს პირდაპირ ქართველი ხალხის, ამ ქვეყნის მოქალაქეების ნებაზეა დამოკიდებული. ამის კარგად გაცნობიერება და გააზრება უნდა მოხდეს. ეს კი, ხალხზეა დამოკიდებული და არა ჩემზე. თუ სურვილი იქნება, ამ მოცემულობის შეცვლის შანსი არის. ჩვენ გარიგებაში არ შევალთ არავისთან, ჩვენ გარიგებაში ვიქნებით მხოლოდ ხალხთან და არა მჩაგვრელებთან.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ რეალური ალტერნატივა ამომრჩეველს აქვს?***

– რა თქმა უნდა! მოუსყიდავი ადამიანები არიან.

***– ყველა ბოლო სოციოლოგიური კვლევით ამომრჩევლის დაახლოებით 60 % გადაუწყვეტელია, თვლის, რომ მას არჩევანი არ აქვს.***

– დიახ, ამაზე მუშაობს მჩაგვრელთა პროპაგანდა, რომ ადამიანებში დათესოს ნიჰილიზმი, აპათია. ეს პროპაგანდა მიმართულია იქითკენ, რომ არჩევანი მაინცდამაინც მჩაგვრელებს შორის უნდა გაკეთდეს და არჩევანი უფრო კარგ მჩაგვრელზე უნდა შეჩერდეს.

***– ეს წინასაარჩევნო კამპანიაც ორპარტიულ დაპირისპირებაში ჩაივლის?***

– ეს ორპარტიული დაპირისპირება კი რეალურად არის ორი მჩაგვრელის ვითომ დაპირისპირება, რომელიც ერთმანეთთან კინკლაობს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები ილუზიებში ამყოფოს, რომ ერთ-ერთი შეიძლება უკეთესი იყოს, არადა ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, ხომ ორივე გამოვცადეთ და თან არაერთგზის, უკვე მრავალჯერ. ეს მოცემულობა უნდა შეიცვალოს და მჩაგვრელებს შორის კინკლაობა უნდა გადაიქცეს ქართველ ხალხსა და მჩაგვრელებს შორის ბრძოლად. ეს არის ამოცანა.

***– და ამ ბრძოლაში ხალხი დაიღალა, რა გარანტიაა, რომ სხვა არ დაჩაგრავს?***

– ადამიანებს, თავიანთი ბიოგრაფიით აქვთ დამტკიცებული, რომ ისინი არ არიან მჩაგვრელები. მე ნულოვანი ქონებრივი დეკლარაციით ვინ უნდა დავჩაგრო?! მე, ცხრა წელი ვებრძოდი მიშას, როდესაც დავინახე, რომ მჩაგვრელი იყო. როდესაც დავინახე, იგივეს აკეთებდა ივანიშვილი, მასთან გარიგებაში არ შევსულვარ.

***– გთავაზობდათ გარიგებას, როდესაც უმრავლესობიდან მოდიოდით?***

– ეს სალაპარაკო თემა არ არის. თუმცა, ყველას შეეძლო უფრო კომფორტულად მოეწყო საკუთარი თავი. ყოველთვის შეიძლებოდა ამ არჩევანის გაკეთება, თუ სად შეიძლება ვყოფილიყავით. მე არჩევანი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გავაკეთე და ეს სრულიად გაცნობიერებული არჩევანი იყო.

***– კოალიციური მთავრობა რეალურია?***

– მჩაგვრელებთან არა! თუ შევთანხმდებით, რომ ჩხარტიშვილი მიდის ციხეში, მიშა ჩამოდის და მიდის ციხეში, ასევე კეზერაშვილი, ყველა ის ხალხი, ვისთანაც კითხვებია, სასამართლო კლანი დასრულდება და ა.შ., მაშინ ვნახოთ.

# სერგო რატიანი: „ივანიშვილს ორი არჩევანი აქვს, ან წააგებს და სახლში წავა, ან სანქციებს დააკისრებენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რებლებს, როგორი ვითარებაა. მეორე არის საერთაშორისო მეგობრები, რომლებიც პროცესს აკვირდებიან და მესამე, არ უნდა დავივიწყოთ ეკონომიკა, სადაც დაახლოებით 6%-იანი ვარდნა უკვე გვაქვს. ესეც არის საკმაოდ მძიმე სურათის მომტანი.

***– ხომ არ დაიწყო ხელისუფლებამ უკვე ძალოვნების ჩართულობა საარჩევნო პროცესში. პრესა.გე-ს რედაქტორმა გიორგი კაპანაძემ თქვა, რომ ხარაგაულში პოლიციის უფროსი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანებს დევნის და საქონლის ქურდებს ხელს აფარებს, ნაცვლად მათი პასუხისგებაში მიცემისა. არის თუ არა ეს საგანგებო?***

– ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლება ამ მეთოდს იყენებს. იგივე „ევროპულ საქართველოსთან“ პლაკატებთან დაკავშირებით იყო შემთხვევები და ასევე იყო სხვა შემთხვევებიც. კრიმინალების და ძალოვნების საშუალებით ზეწოლას ახორციელებს და ეს საყოველთაოდ ცნობილია.

***– რა უნდა გაკეთდეს ამ ვითარების განსამუხტად?***

– ამისთვის უნდა იყოს აქტივობა. როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისე საერთაშორისო საზოგადოების და აქ გადამწყვეტი იქნება მედია. თქვენი აქტივობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში.

***– პოლიტიკურ აქტორებს შორის იყო რაღაც გაუგებრობები და აზრთა სხვადასხვაობა. ამოწურულია ეს?***

– მე ვფიქრობ, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორებს ოპოზიციაში აქვთ განსხვავებული შეხედულებები, ეს არც ნეგატიურია და არც სახიფათოა. მთავარი ამბავი არის ის, რომ მათ ხელისუფლების მძიმე საქციელზე ექნებათ ერთობლივი საერთო ფრონტი და ამაში ეჭვი არ მეპარება.

***– ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაამარცხებთ მმართველ გუნდს ოპოზიცია?***

– მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს მათემატიკა, რომლითაც დღეს ხელისუფლება იგებს. ივანიშვილს აქვს არჩევანი – ან ის წააგებს და წავა სახლში, ან ის წააგებს და მას დააკისრებენ სანქციებს.




**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ჩვენი არჩევნები ბელარუსზე უკეთესი არ არის“

## შოთა მალაშხია: „ის, რასაც ლუკაშენკო აშავებს, მიზერია საქართველოს ხელისუფლებასთან შედარებით“

მარიამ მჭედლიშვილი

**რითი ჰგავს და განსხვავდება ივანიშვილის ხელისუფლება ლუკაშენკოს მმართველობისაგან? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები მასობრივად გაყალბდა? რა ხდება ოპოზიციაში? ამ თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.**



***– მუდმივად ამბობთ, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ბევრი რამით ჰგავს საბჭოთა მმართველობას. საბჭოთა ტიპის ლიდერს უცხოეთში უწოდებენ ალექსანდრე ლუკაშენკოს. ბოლო დღეებში იქ გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს მწვავედ აკრიტიკებენ.***

– ბელარუსი არ არის დემოკრატიული ქვეყანა, იქ ბევრი რამ მოგვაგონებს საბჭოთა კავშირს, თუმცა, საქართველოში ბევრად უარესი სიტუაციაა.

***– სოციალურ მდგომარეობას გულისხმობთ?***

– სოციალურ მდგომარეობასაც. ბელარუსში ხალხი ბევრად ნორმალურად ცხოვრობს. მარტო ამაზე არა მაქვს საუბარი. ლუკაშენკო წლების განმავლობაში არჩეული ლიდერია. დემოკრატიულად ტარდება თუ არა ბელარუსში არჩევნები, სხვა საკითხია. ჩვენთან არც არჩევნები ტარდება დემოკრატიულად და ქვეყანას არც არჩეული პირი მართავს. საქართველოში არაფორმალური მმართველობაა. ყველაფერს ერთპიროვნულად განაგებს ივანიშვილი. მმართველობის სტილი საბჭოთაა, ოღონდ, ბოლო წლების საბჭოური მიმართულება. მაშინ კრიმინალი შეზრდილი იყო ხელისუფლებასთან. ახლაც ასეა და კიდევ უფრო უარესი. არაფორმალური მმართველი სარდაფში არჩევს საქმეებს მაღალჩინოსნების მონაწილეობით და იქ ადგენს, ვინ ვის მოუგო 10-ით თუ 100-ით ნოლი. ბელარუსში ასეთები არ ხდება. იქ არც კრიმინალის პარპაშია. საქართველო ბელარუსს უსწრებს კორუფციითა და ნეპოტიზმითაც. საქართველოსი მოიშალა სტრუქტურები, სამსახურები. პროკურატურა პროკურატურას არ ჰგავს, სასამართლო – სასამართლოს, საგადასახადო – საგადასახადოს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბელარუსში მთავარი პროკურორი და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ვერ გახდება უდიპლომო პირი, რომელსაც კლასიკოსი მწერალი გაგონილიც არა აქვს, ან – ბოტასების ქურდი. საქართველოში ეს ყველაფერი ხდება. ამიტომ, ის, რასაც ლუკაშენკო აშავებს, მიზერია საქართველოს ხელისუფლებასთან შედარებით. ლუკაშენკოზე რუსეთიდან იყო დიდი ზეწოლა, მაგრამ მან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ აღიარა „დამოუკიდებელ“ ქვეყნებად.

***– აღიარებდა, მაგრამ სანქციების შეეშინდა.***

– ფაქტია, რომ არ აღიარა. ამ დროს როგორ იქცევა საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება?! ის ომის დაწყებაში საქართველოს ადანაშაულებს. მისი ე. წ. პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ მძინარე ცხინვალი თბილისმა დაბომბა.

***– ლუკაშენკოს არჩევნების გამო მწვავედ აკრიტიკებენ და აქციებს უწყობენ. ჩვენთან რა მოხდება არჩევნებზე?***

– ჩვენი ხალხი ბევრს ითმენს. ის არჩევნებს ელოდება და ხელისუფლების გადარჩევაზე ფიქრობს. თუ არჩევნებზე განუკითხაობა იქნა, ეს იქნება ბოლო წვეთი. ამას საზოგადოება აღარ ჩაყლაპავს. ამას არ მოითმენენ არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. გარედან ამ ხელისუფლებას დიდი ხანია, გამადიდებელი ლუპით აკვირდებიან და ბევრ რამეში ამხელენ. ჩვენი არჩევნები ბელარუსზე უკეთესი არ არის. ხომ გახსოვთ, რა ხდებოდა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში და მის წინ! ლუკაშენკო კრიმინალურ ავტორიტეტებს და მოსყიდვას მაინც არ მიმართავს.

***– ქართველი ექსპერტების თქმით, ოპოზიციამ წინასაარჩევნოდ ვერ შესთავაზა ხალხს უკეთესი მომავლის გეგმა.***

– ჩვენი გეგმა დიდწილად უკვე განხორციელებულია. ჩვენ შევქმენით თანამედროვე ქართული სახელმწიფო თავისი ჯარით, პოლიციით, საგადასახადო სამსახურით. წინა ხელისუფლების დროს მსოფლიო ანგარიშს უწევდა საქართველოს. ჩვენი ტერიტორიული საკითხები იხილებოდა გაეროში, ევროპის საბჭოში, ეუთოში. სამწუხაროდ, გვქონდა შეცდომები. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ქვეყნის აღმშენებლობა ამ შეცდომების გარეშე. ექსპერტები, რომლებიც სხვა განზომილებაში იმყოფებიან, ამას ვერ იგებენ. ისინი წუმპეში ჩარჩნენ და შორს ვერ იხედებიან. ამას ემატება ისიც, რომ ზოგიერთები ფულს იღებენ. ასეთები იტყვიან, რომ ოპოზიცია უვარგისია. ეს ექსპერტები ერთ ანეკდოტს მაგონებენ. კაცი ნეხვში ზის. ეკითხებიან, რატომ არის იქ. აბა, ბუზებს ხომ არ შევაჭმევინებო.

***– გაერთიანება „ძალა ერთობაშია“-ს გამოც დიდი ამბავია ატეხილი. ცოტა ხნის წინ ეს გაერთიანება ორმა სუბიექტმა დატოვა.***

– შემიძლია კიდევ გავიმეორო, რომ „ძალა ერთობაშია“-ს აქვს გამარჯვების შანსი და ფორმულა. ჩვენი გამარჯვების ფორმულა არ შეცვლილა. მთავარია, მივიღოთ მინიმუმ 41% პროპორციულ არჩევნებში. საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღეთ 38% და ამ მაჩვენებლის გაზრდა რეალურია. 41%-ის მიღების შემთხვევაში გავიყვანთ 49 კაცს პარტიული სიით. საუბარია გაერთიანებაში შემავალ პარტიებზე, დაახლოებით 10 პარტიაზე. შეიძლება მათი რაოდენობა გაიზარდოს. 49 კაცს დაემატებიან მაჟორიტარები.

***– რამდენის გაყვანას ვარაუდობთ?***

– თბილისში ორი კანდიდატი წამოყენებული გვყავს. ორს ვაკანტურ ადგილებზე კიდევ დავასახელებთ. 4 თბილისის კანდიდატს დაემატება 22 რეგიონებში. შედეგად, გვეყოლება 75 ადამიანი პარლამენტში. ეს საკმარისია ჩვენი კოალიციის მთავრობის დასაკომპლექტებლად.

***– ზოგან სხვასაც დაუჭერთ მხარს?***

– შესაძლებელია, ოღონდ, ერთი პირობით. არჩევნებამდე ჩვენ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი უნდა შეგვპირდეს, რომ მომავალში ჩვენთან იქნება მთავრობის დაკომპლექტების საკითხში. ჩვენ ასევე გვაქვს სხვა პატარა პარტიების იმედი. წარმატება გამოიკვეთება უკვე პირველ ტურში. მეორე ტურს კი ხელისუფლებას უდავოდ მოვუგებთ.

# ანზორ ბიწაძე: „ჩვენ მოვახერხებთ „ქართული ოცნების“ გადაყვანას ოპოზიციაში“

## „მალე მთელი ოპოზიცია ხმების დათვლის დეკლარაციას მოაწერს ხელს“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ანზორ ბიწაძე პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***– ანზორ, აქტიური წინასაარჩევნო პერიოდია. საარჩევნო კანონის ცვლილებამ ბევრ ოპოზიციურ პარტიას მისცა აქტიურობის საშუალება, რადგან საკმაოდ დაბალია ბარიერი. რამდენად სამართლიანი და თანასწორია ბრძოლა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ვის რა შანსები აქვს? შეუთანხმებლობა და ერთიანი სიის გარეშე გასვლა დააზარალებს ოპოზიციასო. თქვენ რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ამ ოპოზიციურმა ერთობამ და საერთოდ მთელი პოლიტიკური სპექტრის ერთმანეთში კოორდინაციამ, ქართველ ხალხს და ამომრჩეველს მოუტანა ის, რასაც 30 წლის მანძილზე ყველა ხელისუფლება, ხელისუფლებაში მოსვლის წინ პირდებოდა ამომრჩეველს, მაგრამ შემდეგ იტყუებოდა და ამ დაპირებას ივიწყებდა. საუბარი მაქვს ისეთი ტიპის არჩევნებზე, რომელსაც ჩვენ ახლა მივიღებთ.

***– პროპორციულთან მიახლოებულს?***

– დიახ. მართალია, ეს არ არის სრულად პროპორციული, მაგრამ მაქსიმალურად პროპორციულთან მიახლოებული. ეს არის ყველაზე სამართლიანი საარჩევნო სისტემა, რომლითაც 31 ოქტომბერს ჩატარდება არჩევნები. ეს არის ოპოზიციის მიღწევა და არ შეიძლება ამას ხაზი არ გაესვას, ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია ოპოზიციამ. აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი საერთაშორისო პარტნიორების დახმარებას ამ პროცესში, იმიტომ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარების გარეშე ეს პროცესი ვერ დასრულდებოდა წარმატებულად. უბრალოდ, უმადურობა იქნება, სადაც ერთიანი ოპოზიციის როლს ვახსენებთ, აქვე არ ვახსენოთ საერთაშორისო პარტნიორების და ფასილიტატორი ელჩების როლი.

***– საკმაოდ დიდი იყო მათი გავლენა ხელისუფლებაზე.***

– მე ვიტყოდი, გადამწყვეტი იყო მათი ჩართულობა ამ პროცესში. თუმცა არაფრით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი წარმატება, რომელსაც ოპოზიციამ მიაღწია.

***– ანუ ლეიბორისტული პარტიის ფორმატმა გაამართლა?***

– დიახ. ეს იყო მართლაც სერიოზული შეთანხმება, რომელიც ერთი და ორი დღით არ განისაზღვრება. ასევე შეიქმნა ძალიან სერიოზული პრეცედენტი, როდესაც ერთმანეთთან უკიდურესად დაპირისპირებული და ერთმანეთთან ძალიან მძიმე ურთიერთობაში მყოფი პოლიტიკური ლიდერები, საერთო მიზნის მისაღწევად, დასხდნენ ერთმანეთთან სასაუბროდ.

ეს გვაძლევს შანსს, ვიფიქროთ უკეთეს ხვალინდელ დღეზე და ნაკლებად რადიკალურ და ნაკლებად პოლარიზებულ საზოგადოებაზე.

***– რას იტყვით 2020-ის არჩევნებზე და ოპოზიციის შანსებზე ამ არჩევნებში?***

– არ არის არანაირი ტრაგედია, რომ ყველგან მაჟორიტარების შეთანხმება ვერ მოხერხდა. მთელ რიგ ოლქებში და უმეტეს ოლქებში უკეთესია, ოპოზიცია რამდენიმე კანდიდატით იყოს წარმოდგენილი, იმიტომ, რომ ძალიან მრავალფეროვანია ოპოზიციური ელექტორატის გემოვნება და ყველა ამომრჩევლის გემოვნება უნდა იყოს დაკმაყოფილებული.

***– ასეთი მრავალფეროვნება ამომრჩეველს არ აბნევს?***

– ორმხრივად შეგვიძლია, რომ ამ პროცესს შევხედოთ. ზოგი თვლის, რომ ამომრჩეველს აბნევს. მე ვთვლი, რომ არ აბნევს, პირიქით, ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი ძალიან მრავალფეროვანია და ჩვენ უნდა შევთავაზოთ მაქსიმალურად მრავალფეროვანი ბიულეტენები ამომრჩეველს 31 ოქტომბერს.

ოპოზიციას ყველა ვარიანტში მოგებული აქვს და ყველა ვარიანტში მეტს აიღებს, ვიდრე „ქართული ოცნება“. „ქართული ოცნება“ დაკავებულია სატელიტური ორგანიზაციების, პარტიებისა და პიროვნებების გამოძერწვით. ამის ლუსტრაცია დროზე უნდა მოახდინოს ოპოზიციამ, თუ მას წარმატება სურს.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ხელისუფლება შეეცდება ვითომ კოალიციური მთავრობით კვლავ დარჩეს ხელისუფლებაში?***

– რა თქმა უნდა. ძალიან კარგად ხვდება „ქართული ოცნება“, რომ ისეთ პროცენტს ვერ აიღებს, როგორსაც თავისი პროპაგანდისტული მექანიზმებით აჟღერებს, ეს გამორიცხულია, მაგრამ მე ვხედავ ძალიან ნათლად, რომ ორცხობილებივით აცხობს ბიძინა ივანიშვილი სატელიტ პარტიებს და ორგანიზაციებს წინასაარჩევნოდ. აუცილებლად უნდა მოხდეს ოპოზიციის ძალიან მკვეთრი რეაგირება ამაზე და პირდაპირი გამოკვეთა და ლუსტრაცია იმ ადამიანებისა, ვინც ბიძინა ივანიშვილის სატელიტები არიან.

ასევე კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მინდა გაგანდოთ, დარწმუნებული ვარ, ეს თქვენთვის და თქვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

***– რას გულისხმობთ?***

– უახლოეს დღეებში მოხდება ჩვეულ ფორმატში ოპოზიციური მაგიდის შეკრება.

***– ეს შეკრება რას ისახავს მიზნად?***

– აქ წარმოდგენილი იქნება აბსოლუტურად ყველა ოპოზიციური პარტია, გარდა ბიძინა ივანიშვილის სატელიტი ორგანიზაციებისა. ოპოზიციამ მიაღწია ძალიან სერიოზულ შეთანხმებას, მე ვიტყოდი, რომ ისეთივე მნიშვნელოვან შეთანხმებას და ისეთივე დიდ წარმატებას, როგორიც იყო პროპორციული არჩევნების მიღწევა. ეს არის დეკლარაცია, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა პარტია.

***– ეს რა სახის დეკლარაციაა?***

– ეს არის ხმების დათვლის დეკლარაცია და შემდეგ უკვე ამ დეკლარაციის ქვეშ შემუშავებული იქნება კონკრეტული მექანიზმები, რომლებითაც ყველა პარტია უზრუნველყოფს ერთმანეთის ხმების დაცვას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება, ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა.

***– ანზორ, ეს ყველაფერი ტექნიკურად რამდენად განსახორციელებელი იქნება?***

– ძალიან გამოცდილი ხალხია ოპოზიციაში, მთელი ეს 30-წლიანი გამოცდილება ოპოზიციურ ლიდერებშია თავმოყრილი. ეს აბსოლუტურად გაკეთებადია, არანაირი პრობლემა არ არის, მთავარია პოლიტიკური ნება, ძალიან მარტივად მოინახება ის მექანიზმები, რომლებითაც შესაძლებელი გახდება ერთმანეთის ხმების დაცვა.

ეს არის უპრეცედენტო ფაქტი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომ ყველა ოპოზიციური პარტია იღებს ვალდებულებას, დაიცვას ერთმანეთის ხმები, რაც გამორიცხავს გაყალბების მექანიზმების ჩართვას „ქართული ოცნების“ მხრიდან და მას კიდევ უფრო მეტ ხმებს დაათმობინებს.

ჩვენ მოვახერხებთ ცივილიზებული, ნორმალური მეთოდებით, რადიკალური ნაბიჯების და ლეწვა-მტვრევის გარეშე, რაც ქვეყანას კატეგორიულად არ სჭირდება, „ქართული ოცნების“ გადაყვანას ოპოზიციაში!

***– რა გარანტიაა, რომ ეს პატარ-პატარა პარტიები, რომლებიც თითო-ოროლა მანდატით შევლენ პარლამენტში, შიგნით გაერთიანებას მოახერხებენ?***

– მადლობა ღმერთს, რომ ვერც ერთი პარტია ვერ აიღებს იმდენ მანდატს, რომ ერთპიროვნულად შეცვალოს ხელისუფლება. ეს აღარ გვჭირდება. ქვეყანა არის იმ განვითარების ეტაპზე, რომ მისთვის აუცილებელია, კოალიციური მთავრობა იყოს სათავეში.

ოპოზიცია შეთანხმდა, ერთმანეთთან ლამის მოსისხლე მტრები დასხდნენ და მოახერხეს ამხელა რეფორმის მიღწევა, მოახერხეს კოორდინაცია და ხმების დაცვა და მეტი როგორღა დაგვანახოს ოპოზიციამ, რომ ის მზად არის თანამშრომლობისთვის ოპოზიციის შიგნით და შემდეგ კოალიციის შესაქმნელად. სწორედ ამიტომ დაიწყო ბიძინა ივანიშვილმა ასე ორცხობილებივით თავისი სატელიტების გამოცხობა, რომ ოპოზიციაში დისონანსი შეიტანოს.

***– რა გარანტია გაქვთ, რომ თავის სატელიტებს არ შეიყვანს და თავადვე არ შექმნის პარლამენტს შიგნით კოალიციას?***

– ბიძინა ივანიშვილს არ ექნება იმის ფუფუნება, რომ ასე მარჯვნივ და მარცხნივ არიგოს ხმები თავის პარტიას და თავის სატელიტებს შორის. ამომრჩეველი ისეთ არჩევანს გააკეთებს, რომ ძირითადი ოპოზიციური პარტიები მიიღებენ იმდენ ხმებს, რომ ბიძინა ივანიშვილი მიხვდება, რომ ტყუილი ხარჯი გასწია თავის სატელიტებში.

***– „ქართულ ოცნებას“ სერიოზული კრიზისი აქვს, შიგნით რღვევის პროცესი მიდის. რამდენად შეინარჩუნებენ სახეს არჩევნებამდე?***

– ის ღონისძიებები, რომელთაც ისინი შიგნით ატარებენ, არ არის არჩევნების მომგები და ხელისუფლებაში დამრჩენი ძალის ღონისძიებები. ეს გვაჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ ღრმა კრიზისშია. ასევე არის დიდი დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერებს შორის და ეს ყველამ კარგად იცის.

მათთვის ბიძინა ივანიშვილი არის უპირობო ხელმწიფე და მის კარზე ინტრიგები არ ახალია. ასე რომ, „ქართული ოცნების“ შანსებს მე არ ვაფასებ ისე, როგორც ზოგიერთი ექსპერტი. მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ არის პარტია, რომელსაც მოუწევს ოპოზიციაში გადასვლა. დაველოდოთ არჩევნებს.

***– ანზორ, დიდუბე-ჩუღურეთში საუბარია გირჩიდან ზურაბ ჯაფარიძის კანდიდატურაზე, ხოლო საბურთალოზე – ირაკლი ოქრუაშვილის. რამდენად ექნებათ მათ თქვენი და ზოგადად მთელი ოპოზიციის მხარდაჭერა?***

– ამ პროცესში ჩვენ თავიდანვე აქტიურად ვიყავით ჩართულები და ასე იქნება ახლაც. ჩვენ თბილისზე თავიდანვე უარი განვაცხადეთ და ვთვლით, რომ ნინო ბურჯანაძემ კამპანია უნდა ჩაატაროს მთელი საქართველოს მასშტაბით და ამასთან აბსოლუტურად შეუთავსებელი იყო ნორმალური და სრულფასოვანი მაჟორიტარობის კანდიდატობა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ უარი ვთქვით თბილისში მაჟორიტარ კანდიდატობაზე. რაც შეეხება დარჩენილ ორ ოლქს, უახლოეს დღეებში შედგება კონსულტაციები ოპოზიციის შიგნით. ჩვენ ამ კონსულტაციებში მონაწილეობას მივიღებთ, ჯერ ჩვენ კოლეგებს გავაგებინებთ ჩვენს მოსაზრებას და შემდეგ უკვე ვისაუბრებთ მედიასთან. ჩვენ ყოველთვის ასე ვიქცეოდით და ახლაც ასე იქნება.

***– რეგიონებში თუ გეყოლებათ მაჟორიტარობის კანდიდატები?***

– რეგიონებში აუცილებლად იქნებიან წარმოდგენილი ჩვენი კანდიდატები. არის მთელი რიგი ოლქები, სადაც ძალიან სერიოზული შანსი აქვს ჩვენს პარტიას. ასე რომ, რეგიონალურ ოლქებში ჩვენ წარმოდგენილი ვიქნებით. უახლოეს ორ კვირაში ჩვენ გამოვაცხადებთ იმ რეგიონალურ ოლქებს, რომლებშიც ჩვენი პარტიის კანდიდატები იქნებიან წარმოდგენილი.

# პროკურატურამ შაქარაშვილის საქმის ფიგურანტების ადვოკატებს საქმის მასალების გამჟღავნება აუკრძალა

გამოძიებამ შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატები მასალებისა და მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობაზე გააფრთხილა.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, შაქარაშვილის საქმეზე 11 აგვისტოს, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის ბრალდება წარედგინა 5 პირს, რის თაობაზეც ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდა.

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გამოძიება გიორგი შაქარაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეზე. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, 2020 წლის 11 აგვისტოს, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, ბრალდება წარედგინა 5 პირს, რის თაობაზეც ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდა.

გამოძიების საწყის ეტაპზე, სატელევიზიო სივრცეში, ბეჭდურ მედიასა თუ სოციალურ ქსელებში დაფიქსირდა სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოქვეყნების ფაქტები, ხშირი იყო გასაჯაროებული მასალების არარელევანტური ინტერპრეტაციები, რაც დანაშაულის სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით, უარყოფით გავლენას ახდენდა შემდგომში ჩასატარებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შედეგებზე, ვინაიდან დასაკითხმა პირებმა დაკითხვამდე წინასწარ იცოდნენ გამოძიების ვერსიები, სტრატეგია და მოსალოდნელი მოქმედებები.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების საჯარო განხილვები და არასწორი, ხშირ შემთხვევაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, შეფასებები და დასკვნები, იწვევს დაზარალებულთა ხელახალ ვიქტიმიზაციას, აგრეთვე აზიანებს გამოძიებაში მონაწილე ფიგურანტი არასრულწლოვანი პირების საუკეთესო ინტერესების დაცვას.

საქმე ეხება უმძიმეს დანაშაულს – მკვლელობას და მიუხედავად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, უმნიშვნელოვანესია, გამოძიება წარიმართოს საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით, მართლმსაჯულება აღსრულდეს დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ბრალდების მხარემ, დაცვის უფლების განხორციელების მიზნით, სრულად გადასცა დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალები, თუმცა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ბრალდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატები გაეფრთხილებინა საქმის მასალებისა და მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობაზე.

საქართველოს პროკურატურა მომავალშიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას გამოძიების შედეგების შესახებ" – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „გაგნიძემ და რევაზიშვილმა შაქარაშვილს რომ გზა გადაუჭრეს, ამის მოწმე არ არსებობს"

შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულების ადვოკატები ამბობენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფების წინააღმდეგ საქმეში ხელჩასაჭიდი არაფერი დევს.



– თუ ეს მტკიცებულებები 2 კვირის წინ არსებობდა და ბრალდების მხარე ამბობდა, რომ მაშინ არ ჰქონდათ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი იმისათვის, რომ ბრალი წარედგინათ ამ ადამიანებისთვის, საინტერესოა, რა შეიცვალა დღეს, რომ იგივე მტკიცებულებებით ბრალი წარუდგინეს მათ.

საქმეში არ არსებობს მოწმე, რომელიც დაადასტურებდა, რომ გაგნიძემ და რევაზიშვილმა გზა გადაუჭრეს გიორგი შაქარაშვილს. თუ ეს ხალხი ყველა ხევში იყო ჩასული, მაშინ ვინ ეძებდა ამირხანაშვილსა და ახვლედიანს, – აცხადებს არჩილ გაგნიძის და ვასილ მახარაძის ადვოკატი ბექა ნემსიწვერიძე.

ვახო ჩიქოვანის ადვოკატიც არ ეთანხმება პროკურატურის გადაწყვეტილებას და გამოძიებას არაობიექტურს უწოდებს.

– ძალიან ბევრი პროკურორი, ბევრი სასამართლო და ბევრი მკვლელი მინახავს, მაგრამ ეს იყო ყველაზე მეტად დასაბუთებული აბსურდი. არავითარი დამსჯელი რაზმი არ წასულა თბილისიდან. პირიქით, ვაკე-საბურთალოელები იყვნენ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ და მთელი ღამე დადიოდნენ საქეიფოდ. ვახტანგ ჩიქოვანი არავის დადევნებია, მას არაობიექტურად დასდეს ბრალი, – განაცხადა ვახო ჩიქოვანის ადვოკატმა.

თეიმურაზ მაისურაძის თქმით, ამ მასალებში არაფერი არ იქნება ახალი და არც შეიძლება რომ იყოს.

– შუალედური დასკვნები არ შეიძლება იყოს ბრალის წაყენების საფუძველი ასეთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე. 20 მტკიცებულებიდან ერთი ხომ მაინც უნდა იყოს კატეგორიული. არც ერთი კატეგორიული მტკიცებულება არ არის. თავად ვერ შეძლეს ობიექტური გამოძიების წარმოება, ვერ მოიყვანეს კომპეტენტური ექსპერტები და ახლა ეძებენ.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ გამოკიდებია შაქარაშვილს და საერთოდ, „ნახალოვკელები" ამბობენ, რომ ჩვენ არ მოგვიკლავს და ამ ბიჭის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არაფერი არ ვიცითო. ვინ ამბობს, რომ ვახტანგ ჩიქოვანი შაქარაშვილს გაეკიდა? რაც არ იცის, რა უნდა აღიაროს, მათი მხრიდან ეს საერთოდ არ მომხდარა, ვიღაც ბრალს სდებს ამ ადამიანებს და არ უნდათ სიმართლის დადგენა, – აღნიშნა თეიმურაზ მაისურაძემ.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე „ტოიოტა ქამრის" მგზავრების – 5 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც განზრახ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობას გულისხმობს. აღნიშნულ საქმეზე ბრალი ვახტანგ ჩიქოვანს, არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილს, არასრულწლოვნებს ა.ქ.-ს და ზ.ხ.-ს დაუმძიმდათ.

# შსს მესტიაში დაწესებულ საკარანტინო შეზღუდვებზე კონტროლს უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს

პოლიცია სვანეთის რეგიონში, მესტიის მუნიციპალიტეტში, საკარანტინო ზონაში დაწესებული შეზღუდვების კონტროლს განსაკუთრებულ რეჟიმში აგრძელებს. მუნიციპალიტეტში მშვიდი ვითარებაა, მოქალაქეები მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით ემორჩილებიან პოლიციის მითითებებს და დაწესებულ რეგულაციებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ორგანიზებით, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ბარჯასა და ლენჯერში სპეციალური საველე ინფრასტრუქტურა მოეწყო. აღნიშნულ სოფლებში, ზუგდიდი-მესტიის დამაკავშირებელ გზაზე, ორი კარავი დამონტაჟდა, სადაც პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, მოქალაქეთა სპეციალურ აღრიცხვას აწარმოებს. საკონტროლო გამშვებ პუნქტებში მიმდინარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში შესული და გამოსული ადამიანების თერმოსკრინინგი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გამოსვლის შემთხვევაში კი – მოქალაქეები ვალდებული არიან გაიარონ კარანტინი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები განაგრძობენ საკარანტინო შეზღუდვების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე, აღნიშნულ ზონაში მყოფი ვიზიტორების ინფორმირებას. პოლიცია მოქალაქეებს რეგულარულად, დეტალურად უხსნის საკარანტინო ზონაში მოქმედ წესებს და საჭიროების შემთხვევაში, მათ მაქსიმალურად ეხმარება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებისა და სვანეთში შექმნილი რეგიონული შტაბის ორგანიზებით, მესტიის მუნიციპალიტეტიდან მოქალაქეების გამოყვანა მოხდა მათივე კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებით. პოლიციამ უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით უზრუნველყო მოქალაქეთა ესკორტირება სხვადასხვა რეგიონში მდებარე საკარანტინო სივრცეების მიმართულებით. შესაბამისი პროტოკოლის დაცვით გაეწიათ დახმარება იმ პირებსაც, ვინც სვანეთში საკუთარი ტრანსპორტით არ იმყოფებოდნენ.



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებენ პატრულირებას. პოლიცია ძირითად გზებზე განთავსებული საკონტროლო-გამშვები საგუშაგოების მეშვეობით განაგრძობს მოქალაქეთა გადაადგილების კონტროლს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 10 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო შეიზღუდა შესვლა-გამოსვლა მესტიის მუნიციპალიტეტში: დაბა მესტიის, ბეჩოს, ეცერის, იდლიანის, იფარის, კალას, ლატალის, ლახამულის, ლენჯერის, მულახის, ნაკრას, უშგულის, ფარის, ცხუმარის, წვირმის, ჭუბერის და ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში. კერძოდ, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, გადაადგილება შეიზღუდა როგორც მესტიის მუნიციპალიტეტის მიმართულებით, ასევე, მესტიის მუნიციპალიტეტიდან. მუნიციპალიტეტში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გამოსვლის შემთხვევაში კი – მოქალაქეები ვალდებული არიან, გაიარონ კარანტინი. აღნიშნულის გარდა, დამატებითი რეგულაციები – საკარანტინო შეზღუდვები მოქმედებს დაბა მესტიაში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში – უშგულსა და ლენჯერში, რაც გულისხმობს აღნიშნულ დასახლებებსა და მესტიის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს შორის გადაადგილების შეზღუდვას.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფმა ყველა პირმა დაიცვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

# თამარ ბაჩალიაშვილი: „პირადად მე უძლური ვარ მის წინაშე"

## ოჯახმა შსს-ს ახალი მტკიცებულებები გადასცა

ახალი მტკიცებულებები გაჩნდა თამარ ბაჩალიაშვილის საქმეში – გარდაცვლილი გოგოს ჩანაწერი, სიტყვებით „პირადად მე უძლური ვარ მის წინაშე" და სავარაუდოდ, ახალი კოდები და პაროლები გუშინ, 12 აგვისტოს, საღამოს, ოჯახმა და მისმა ადვოკატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცეს.




მიხეილ რამიშვილს იმედი აქვს, რომ ეს წერილი და ახალი კოდები გამოძიების ვერსიებს შეცვლის.

გუშინვე სამინისტროში დაიკითხა ჟურნალისტი გიორგი კაპანაძე, რომელმაც პირველმა გაასაჯაროვა თამარ ბაჩალიაშვილის ახლად აღმოჩენილი წერილი.

# ირმა ჩალიშქალი: „ჩემი შვილი ირინა თოდაძე მისმა ქმარმა მოკლა"

2020 წლის მაისში, საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის ოჯახი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ – ირინა თოდაძის დედა ამტკიცებს, რომ მისი შვილი ქმარმა მოკლა, გამოძიება კი საქმეს განზრახ არ იძიებს. გარდაცვლილის ოჯახი ხელისუფლებას მოუწოდებს, დაინტერესდნენ ამ საქმით, რათა ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და მკვლელი სათანადოდ დაისაჯოს.

„მთავარის" ცნობით, გარდაცვლილის დედის ვერსიით, მის ქალიშვილს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა მისმა მეუღლემ, შემდეგ გაგუდა და გაძარცვა, თუმცა ამ საქმეზე დაკავებული ამ დრომდე არავინაა.

– დღეს თუ ამას არ გააკეთებენ და არ დაიჭერენ, ხვალ მის შვილებს დაემართებათ ეს. ჩემი სიძე არის ყველაფერი, მან ვერ დაიცვა, თუ ის არ არის დამნაშავე, მისი მოწყობილია, მან ყველაფერი იცის, – ამბობს ირმა ჩალიშქალი.

დაღუპულის დედა გამოძიებას საქმის მიზანმიმართულ გაჭიანურებაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ჯერ ექსპერტიზის პასუხიც კი არ არსებობს. ოჯახმა დამოუკიდებელ ექსპერტს მიმართა და ცხედრის ზედაპირული დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მას ბლაგვი საგნით აქვს დაზიანებები მიყენებული. თუმცა იგივე ექსპერტიზაში ნათქვამია, რომ სიკვდილი ამ დაზიანებების შედეგად არ არის დამდგარი.

შსს-ში ამბობენ, რომ ექსპერტიზის პასუხებს ელოდებიან, თუმცა ვერ აზუსტებენ, როდის იქნება შედეგები.

საქმესთან დაკავშირებით გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანისა და ქურდობის მუხლებითაა აღძრული.

# ბაჩანა ლობჟანიძე შსს-ში დაიბარეს

ბაჩანა ლობჟანიძე, რომელიც თავს გარდაცვლილი 23 წლის პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის შეყვარებულს უწოდებს, დღეს, 13 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროშია დაბარებული.

როგორც „ინტერპრესნიუსთან" ბაჩანა ლობჟანიძე აცხადებს, საგამოძიებო ორგანოში დილით, 10:00 საათიდან 11:00 საათამდე უნდა გამოცხადდეს.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

# გორში 17 წლის გოგო, რომელსაც მეორე დღეა ეძებდნენ, იპოვეს

გორის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები 17 წლის გოგონა, რომელიც 11 აგვისტოს გაუჩინარდა, იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, 17 წლის გოგონა ნაპოვნია და ამ დროისთვის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

ოჯახის ვერსიით, გოგონა, სავარაუდოდ, ცოლად მოყვანის მიზნით იყო მოტაცებული.

# უაქციზო თამბაქოსა და თუთუნის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს

10 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ უაქციზო სიგარეტის, ჯამში, 7.311 კოლოფი, 6.520 ღერი და 156.410 კგ. თუთუნის შენახვა-გადაზიდვის 115 ფაქტი გამოვლინდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, აქედან 2 შემთხვევა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა.

მათი ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს საქონელი ჩამოერთვათ.

# ვინ არის სვეტლანა ტიხანოვსკაია

## ბელორუსში აქციები არ წყდება



დასრულდა ბელორუსის პრეზიდენტის არჩევნები. ოფიციალური ვერსიით, ალექსანდრე ლუკაშენკომ გაიმარჯვა და პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა.

ოპოზიციამ ალტერნატიული გადათვლა განახორციელა, რომლის თანახმად, არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ გაიმარჯვა.

ბელორუსი ბრძოლის ველად იქცა. ქვეყანა აქციებმა მოიცვა. ხელისუფლების მცდელობამ, ეს აქციები ძალისმიერი მეთოდებით ჩაეხშო, ცეცხლზე ნავთი დაასხა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

სვეტლანა გიორგის ასული ტიხანოვსკაია (ქალიშვილობის გვარი პილიპჩუკი) პოლიტიკაში შემთხვევით მოხვდა. ის 1982 წელს დაიბადა. დაამთავრა უნივერსიტეტი (სპეციალობა ინგლისურის და გერმანულის მასწავლებელი). ერთხანს მთარგმნელად მუშაობდა, შემდეგ ბიზნესმენ სერგეი ტიხანოვსკიზე გათხოვდა.

მისი მეუღლე, ბიზნესის გარდა, აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და პრეზიდენტ ლუკაშენკოს თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო. ის დაკავშირებული იყო როგორც დასავლეთის დემო-კოსმოპოლიტურ, ისე რუსულ ლიბერალურ წრეებთან. ამან მისი მსოფლმხედველობაც განსაზღვრა. სერგეი ტიხანოვსკი რუსეთ-ბელორუსის გაერთიანების წინააღმდეგი იყო და ევროპაზე ორიენტაციას მოითხოვდა. ამავე დროს, ის ძალზე ფრთხილად საუბრობდა ისეთ თემებზე, როგორებიცაა ბელორუსული ეროვნული სიმბოლიკა, ბელორუსული ეკლესიის ავტოკეფალია, ბელორუსული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი და ა.შ.

– რა მნიშვნელობა აქვს, თუ რა დროშა იფრიალებს მინსკზე! ეკლესიის საკითხი კი თავად მღვდელმთავრებმა უნდა გადაწყვიტონ და სახელმწიფო აქ ვერ ჩაერევა! რაც შეეხება ენას, ყველა ადამიანმა იმ ენაზე უნდა ილაპარაკოს, რაც მისთვის კომფორტულია. ზეცა არ ჩამოინგრევა, თუ რუსულად ისაუბრებენ, – ამბობდა სერგეი ტიხანოვსკი.

სვეტლანა ქმრის ამ შეხედულებებს იზიარებდა, თუმცა პოლიტიკაში არ ერეოდა და დიასახლისობით იყო დაკავებული. სერგეი ტიხანოვსკი კი ოპოზიციური მოღვაწეობის გამო არაერთგზის იყო დაპატიმრებული. ის აპირებდა მონაწილეობა მიეღო 2020 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ რეგისტრაციაზე უარი უთხრეს.

ამის შემდეგ არენაზე გამოჩნდა მისი მეუღლე სვეტლანა. ის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა საინიციატივო ჯგუფმა, რომელსაც მისი ქმარი ხელმძღვანელობდა.

ქალს ბევრი შემთხვევით ფიგურად მიიჩნევდა. ლუკაშენკომ კი ერთ-ერთი ინტერვიუში შენიშნა:

– ტიხანოვსკაია გულწრფელად მებრალება! მან არც კი იცის, თუ რა თამაშში ჩაითრიეს.

ყველა გამოკითხვით, დიასახლის ტიხანოვსკაიას უფრო მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე ლუკაშენკოს. ამიტომ, როცა არჩევნების შედეგად გამოაცხადეს, რომ ლუკაშენკომ 80% მიიღო, ტიხანოვსკაიამ კი – 10%, ყველა აღშფოთდა. მინსკი, ბრესტი თუ სხვა ქალაქები ნამდვილ ბრძოლის ველად გადაიქცა.

ამ დროს საინტერესო მოვლენები განვითარდა. ბელორუსის სუკის თანამშრომლებმა ტიხანოვსკაია ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში დააკავეს და ცალკე ოთახში გაიყვანეს. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ის საზღვართან მიიყვანეს და საშუალება მისცეს, ლიეტუვაში გადასულიყო. ტიხანოვსკაიას ორი შვილი უკვე 11 ივლისიდან ვილნიუსში იმყოფება.

ამის შემდეგ გავრცელდა ტიხანოვსკაიას ვიდეომიმართვა. მან თანამემამულეებს მოუწოდა, საპროტესტო აქციები შეეწყვიტათ.

– ბელორუსებო! მოგიწოდებთ შეწყვიტოთ საპროტესტო აქციები და საფრთხეში არ ჩააგდოთ არც თქვენი, არც თქვენი ახლობლების სიცოცხლე, – განაცხადა მან.

ბელორუსში კი დაპირისპირება გრძელდება.

# ჯო ბაიდენმა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად კამალა ჰარისი დაასახელა

აშშ-ის დემოკრატმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯო ბაიდენმა კალიფორნიის შტატის სენატორი კამალა ჰარისი ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა.

ბაიდენმა განაცხადა, რომ მას აქვს დიდი პატივი, კამალა ჰარისი დაასახელოს, რომელიც, მისი თქმით, „უშიშარი მებრძოლი და ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო მოხელეა“.



თავის მხრივ, ჰარისმა განაცხადა, რომ აქვს პატივი, დემოკრატიული პარტიის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი იყოს.

– ჯო ბაიდენს ამერიკელი ხალხის გაერთიანება შეუძლია, იმიტომ, რომ ის მთელ თავის ცხოვრებას ჩვენთვის ბრძოლაში ატარებს. მაქვს პატივი, ჩვენი პარტიის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი ვიყო და გავაკეთო ის, რაც მას ჩვენს მთავარსარდლად აქცევს.

კამალა ჰარისი, რომელიც კალიფორნიის შტატის ყოფილი გენერალური პროკურორია, ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებული პირველი ფერადკანიანი ქალი და აზიელი ამერიკელია.

ჰარისი თავის მეტოქესთან, დონალდ ტრამპის ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატ მაიკ პენსთან, 7 ოქტომბერს დებატებს გამართავს.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 3 ნოემბერს გაიმართება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### დაშვებულმა საბურავმა მამაკაცი მილიონერად აქცია



აშშ-ის მკვიდრ მამაკაცს ავტომობილის დაშვებულმა საბურავმა ლატარიაში ჯეკპოტი მოახსნევინა.

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრები გზატკეცილზე ავტომობილით გადაადგილდებოდა, როდესაც შენიშნა, რომ მისი მანქანის ერთ-ერთი საბურავი დაშვებული იყო. მან გადაწყვიტა, უახლოეს ავტოგასამართ სადგურზე გაჩერებულიყო უწესრიგობის გამოსასწორებლად,

– როდესაც ბორბალი დავბერე, იქვე, მაღაზიაში ბუტერბროდი და ლატარიის ბილეთი ვიყიდე, – განაცხადა ამერიკელმა.

მამაკაცის აღიარებით, ძალიან ღელავდა, როდესაც ბილეთის დამცავ ფენას შლიდა. როდესაც ის მიხვდა, რომ ჯეკპოტი მოხსნა, მაშინვე გადაწყვიტა, რომ მოგებული მილიონი დოლარით ვალებს გაისტუმრებდა და ოჯახს დაეხმარებოდა.

### ნუდისტს ტახმა ნოუთბუქი გასტაცა



გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ტახმა ნუდისტს ნოუთბუქი მოსტაცა. შიშველი მამაკაცის მიერ გარეული ცხოველის დევნის კადრებმა მას მედიის ყურადღება მიიპყრო.

5 აგვისტოს საღამოს, შუა ხნის მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გერმანიის დედაქალაქის დასავლეთ ნაწილში მდებარე გრუნევალდის ტყეში ტბის ნაპირზე ისვენებდა. სანამ შიშველი გერმანელი საღამოს მზის სხივებს ეფიცხებოდა, მასთან ტახი მივიდა თავის ორ გოჭთან ერთად, პირი სტაცა ჩანთას, რომელშიც ნოუთბუქი ედო და გაიქცა.

შიშველი მამაკაცი გარეულ ცხოველს გამოეკიდა და ამით ირგვლივ მყოფები მეტად გაამხიარულა. ერთ-ერთმა იქ მყოფმა ადელ ლანდაუერმა ფოტოკამერაზე აღბეჭდა ის მომენტი, თუ როგორ ცდილობდა მამაკაცი ტახს დასწეოდა და მისთვის ჩანთა წაერთმია.

საბოლოოდ მამაკაცმა თავისი ნივთის დაბრუნება მოახერხა. როდესაც ის თავის ადგილზე დაბრუნდა, იქ მყოფები მას აპლოდისმენტებით შეეგებნენ. ლანდაუერმა მას გადაღებული ფოტოსურათი აჩვენა, რამაც მამაკაცი გაამხიარულა და მისი გამოქვეყნების უფლება მისცა.

### სინდი კროუფორდის ქალიშვილის სხეულმა ფანები აღაფრთოვანა



ამერიკელი სუპერმოდელის სინდი კროუფორდის ქალიშვილმა კაია გერბერმა სოციალურ ქსელებში თავისი ახალი ფოტოსურათი გამოაქვეყნა და თაყვანისმცემლები გაახარა.

გამოქვეყნებულ ფოტოზე 18 წლის გოგონა ხეების ფონზეა აღბეჭდილი. ის კამერის წინ ყავისფერ კროპტოპსა და სპორტულ შარვალში გამოწყობილი პოზირებს. კაიას ამ ფოტომ 245 ათასი მოწონება მიიღო.

ახალგაზრდა მანეკენის სხეულმა მისი ფანები აღაფრთოვანა და მათ კომენტარებში ქათინაურები არ დაუშურებიათ.

– ენით აუწერელი ფიგურა გაქვს, – დაწერა საკუთარ კომენტარში ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ნამდვილი ქალღმერთი ხარ, – აღფრთოვანება ვერ დამალა მეორე ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– კაია, დარწმუნებული ვარ, რომ შენ პლანეტის ულამაზესი ქალი ხარ, – დაწერა მესამემ.

### სამსახურიდან განთავისუფლებულმა ინგლისელმა ჯეკპოტი მოხსნა




ინგლისის ოქსფორდშირის საგრაფოს მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი სამსახურიდან განთავისუფლებიდან ერთ დღეში მოხსნა. 61 წლის დევიდ ადამსმა ლატარიაში მთავარი პრიზი – ერთი მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

ინგლისელმა აღიარა, რომ ამ მსხვილ მოგებას წინ უძღოდა შავი ზოლი მის ცხოვრებაში. ერთი წლის წინ მის მეუღლე შელის გაფანტული სკლეროზი დაუდგინეს და მას მოუწია ძიძად მუშაობისთვის თავი დაენებებინა, რამაც მათი ოჯახის ბიუჯეტს სერიოზული დარტყმა მიაყენა. მიმდინარე წლის აპრილში ადამსების ოჯახს კიდევ ერთი ტრაგედია დაატყდა თავს: ერთ თვის სხვაობით დაიღუპნენ დევიდის ძმა და მისი მეუღლე. ლატარიაში მოგებამდე 24 საათით ადრე კი მან, შემცირების გამო, დურგლის ადგილი დაკარგა.

– ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ სამსახურის დაკარგვა ყველაზე უარესია მათ ცხოვრებაში, მაგრამ ჩემი ოჯახისთვის ეს ბოლო გამოცდა იყო, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში გადავაწყდით, – აღიარა ადამსმა.

მისი მეუღლის თქმით, დევიდი დროდადრო თამაშობს ონლაინ-ლატარიას და იყენებს იმ რიცხვებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი ოჯახისთვის.

მოგებული თანხით ადამსები კანადაში, სადაც მათი ნათესავები ცხოვრობენ, მოგზაურობას და ავტომობილის ყიდვას აპირებენ.

### ზვიგენი წყლიდან რეკორდულ ოთხ მეტრზე ამოხტა



ზვიგენების ექსპერტმა კრის ფალოუსმა ვიდეოკამერაზე აღბეჭდა დიდი თეთრი ზვიგენის სარეკორდო ნახტომი წყლიდან.

ეს ყოველივე სამხრეთ აფრიკის კუნძულ სილის სანაპირო წყლებში მოხდა. ფალოუსმა გადაიღო, თუ როგორ სტაცა პირი უზარმაზარმა ზვიგენმა ტივტივას, წყლიდან ამოხტა და ზღვის ზედაპირიდან 4,5 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ეს უნიკალური კადრები დისკავერის საიუბილეო გამოშვებაში მოხვდა და რომელიც დიდ თეთრ ზვიგენებზე გადაცემის 20 წლისთავს ეძღვნებოდა.

ახალი ეპიზოდი ეთერში 10 აგვისტოს იუთუბიში დისკავერის არხზე გავიდა. ერთ დღეში აღნიშნულმა ვიდეორგოლმა 27 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა და ინტერნეტ-მომხმარებლების აღფრთოვანება დაიმსახურა.

### ათი წლის ბიჭმა ლითონმაძიებლით უძველესი ხმალი იპოვა



ჩრდილოეთ ირლანდიის ოლსტერის პროვინციის მკვიდრმა პატარა ბიჭმა, პირველად ისარგებლა ლითონმაძიებელი მოწყობილობით და 300 წლის ხმალი იპოვა.

ათი წლის ფაიონტენმა ლითონმაძიებელი მოწყობილობა დაბადების დღეზე საჩუქრად მიიღო. პირველი გასვლის დროს ბიჭმა ლითონმაძიებლის გამოცდა მოაწყო და პირველივე ცდაზე ძველებური ხმალი იპოვა. ბიჭის მამის თქმით, ახალბედებს უმართლებთ.

ფილლიპ სპუნერმა, რომელიც 30 წელია ანტიკვარიატით ვაჭრობს, განაცხადა, რომ პატარა ბიჭის მიერ ნაპოვნი ხმლებით 1720-დან 1780 წლის ჩათვლით ძირითადად ან ინგლისელი ოფიცრები სარგებლობდნენ, ან შოტლანდიელები 1700-დან 1850 წლების ჩათვლით.

ფაიონტენის მამა დოქტორ გრიგორ რემსის დაუკავშირდა, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებას კურირებს. რემსი ცდილობს დააგინოს ხმლის წარმომავლობა და მისი ასაკი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# ევროპალიგაზე ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია

**შახტარი-ბაზელი 4:1**

1:0 მორაეში (2), 2:0 ტაისონი (22), 3:0 პატრიკი (75პ), 4:0 დოდო (88), 4:1 ვან ვოლფსვინკელი (90)

შახტარი მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა და გუნდის გამარჯვება წამით არ დამდგარა ეჭვის ქვეშ. 2 წუთზე ნაკლები დასჭირდათ დონბასელებს, რომ გოლი გაეტანათ, შემდეგ კი უკვე ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო. ვერ გამოდგა ბაზელი ის გუნდი, რომელიც შახტარს ხელს შეუშლიდა. შვეიცარიელებმა მე-2 ტაიმში თითქოს შეტევებს უმატეს, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. უკრაინულმა გუნდმა მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და ნახევარფინალში ინტერს შეხვდება.

დავით ხოჭოლავას დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. თუმცა, სასჯელი მოიხადა და, იმედია, ნახევარფინალში ვიხილავთ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარლოსი**

რთულია ვინმეს გამოყოფა შახტარიდან, ყველამ მაგარი მატჩი ჩაატარა და თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. თუმცა, მაინც მარლოსს ვიტყვით, რომელმაც პირველ ტაიმში 2 საგოლე პასი გააკეთა მორაეშსა და ტაისონზე.



**ვულვზი-სევილია 0:1**

0:1 ოკამპოსი (88)

ჯერჯერობით, ევროპის ლიგა ისე მიდის, რომ ფავორიტები იგებენ და არანაირი სენსაცია არ ხდება. ნახევარფინალში გავიდა სევილიაც, რომელმაც ბოლოს გაუტანა ვულვზს.

არადა, ინგლისელებს დასაწყისშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ესპანელმა რაულ ხიმენესმა „თავისიანებს“ პენალტი ვერ გაუტანა. არავინ იცის, ვულვზის გატანის შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდებოდა, მაგრამ, ფაქტია, რომ ინგლისური გუნდი ამის გამო დაისაჯა – ლუკას ოკამპოსმა ზედ საფინალო სასტვენის წინ გაიტანა და „მგლებს“ გასათანაბრებლად დრო არ დაუტოვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუკას ოკამპოსი**

სევილიელი მთელი მატჩის განმავლობაში ენ ნასირზე ნაკლებად შესამჩნევი ფიგურა იყო, მაგრამ უფრო სასარგებლო აღმოჩნდა – მისი გოლით სევილია ნახევარფინალშია და მანჩესტერ იუნაიტედს შეხვდება.

# კორონავირუსი ფეხბურთში ისევ ჩაერია

კორონავირუსის პანდემიამ სპორტული აქტივობები სრულიად შეცვალა. როგორც უკვე იცით, ერთი წლით გადავადდა ამ ზაფხულს დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომელიც ტოკიოში უნდა ჩატარებულიყო.

ახლა კოვიდ 19 2022 წელს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპსაც შეეხო. ფიფამ ღიად გამოაცხადა, რომ მუნდიალის შესარჩევი მატჩები აზიის ზონაში, რომლებიც წელს უნდა ჩატარებულიყო, მომავალი წლისთვის გადაიდო.

აზიური შესარჩევის მე-2 რაუნდის მატჩები, მარტსა და ივნისში უნდა ჩატარებული, მაგრამ პანდემიის გამო ჯერ ოქტომბერსა და ნოემბერში გადაიტანეს, ახლა კი სულაც მომავალი წლისთვის გადაავადეს.

– მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კოვიდ 19-ით გამოწვეული ვითარების გამო, ფიფამ და აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატისა და 2023 წლის აზიის თასის შესარჩევი მატჩები, რომლებიც თავდაპირველი გეგმის თანახმად, 2020 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო, 2021 წლისთვის გადავადდა. ვაგრძელებთ ერთობლივად მუშაობას, ყურადღებით ვაკვირდებით რეგიონში მიმდინარე ვითარებას. საკვალიფიკაციო მატჩების გამართვის ახალ თარიღებს მოგვიანებით დავასახელებთ, – ნათქვამია ფიფას განცხადებაში.

# შედეგები

**11 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ევროპის ლიგა**

შახტარი-ბაზელი ........ 4:1
ვულვზი-სევილია ........ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როტორი-ზენიტი ........ 0:2
რუბინი-ლოკომოტივი ........ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-ჰიბერნიანი ........ 0:1

**იტალია. სერია ბ**

**ფლეი ოფი**

სპეცია-კიევო ........ 3:1

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# პირველი წრე თბილისის დინამოს გამარჯვებით დასრულდა



სამტრედია-საბურთალო 1:2

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 ახალაძე (21), 1:1 ტერა (66), 1:2 გულიაშვილი (89)

**სამტრედია:** კულუა, რუხაია, კილასონია, ახალაძე (მესიაჩენკო 69), ინკუმი, ჯგერენაია, თოთაძე, კვირკვია, დისი (დაფე 71), პავიშიჩი (ლუკავა 90), იმნაძე

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, ნაზარე (ტაბატაძე 46), ჭიჭინაძე (ბელიაევი 66), კაკუბავა, ცნობილაძე, ტერა, ალთუნაშვილი, ლუმუ (გულიაშვილი 74), ქავთარაძე

დედაქალაქური საბურთალო სამტრედიას ესტუმრა და ადგილობრივ კლუბთან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. მიუხედავად პირველ ნახევარში მინიმალური ჩამორჩენისა, თბილისელებმა მეორე ტაიმში ძალების მობილიზება და საბოლოოდ სასურველი ანგარიშით დაფიქსირება მოახერხეს. მოგება მე-2 ტაიმში განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა – ჯერ შესვენების შემდეგ კარგად ჩაერთო ტაბატაძე-ბელიაევის დუეტი, 74-ე წუთიდან კი, მინდორზე გიორგი გულიაშვილი შემოვიდა, რომელმაც გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

რაც შეეხება მთლიანად მატჩს, პირველი ტაიმი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, მე-2 ნახევარი კი, სტუმრებმა უკეთ ჩაატარეს. საწყის წუთებში თავისიანები გაშვებულ გოლს ლაზარე კუპატაძემ გადაარჩინა, რომელმაც რთულად ასაღები ბურთი მოიგერია. ანგარიშის გახსნის 2 კარგი შესაძლებლობა თბილისელებსაც ჰქონდათ – ერთ-ერთ ეპიზოდში სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. სანდრო ალთუნაშვილმა შეტევაში ჩართული ნიკოლოზ მალი მოძებნა, ამ უკანასკნელის დარტყმა კი მეკარემ მოიგერია. მე-2 შემთხვევაშიც გამარჯვებული გოლკიპერი დარჩა, როდესაც თავისიანები გაშვებული გოლისგან იხსნა. 21-ე წუთზე კი ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს – ახალაძის საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და ისე შევარდა კარში.

შესვენების შემდეგ მინდორზე სხვა საბურთალო ვიხილეთ – თბილისელებმა თამაშის ტემპსაც მოუმატეს და უფრო მეტი ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან. როგორც ზემოთ ვთქვით, გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშეს ცვლილებაზე შესულმა ფეხბურთელებმა. საბურთალოელებს ანგარიშის გათანაბრება იური ტაბატაძის ძლიერად დარტყმის შემდეგ ჰქონდათ, მაგრამ მიზანს ცოტა დააკლდა. 66-ე წუთზე კი ტაბატაძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ელვინ ტერამ, რომელიც ბოლო დროს სანდრო ალთუნაშვილთან ერთად გუნდის საკვანძო ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, ანგარიში გაათანაბრა.

გოლის შემდეგ, დედაქალაქელებმა კიდევ უფრო მოუმატეს, თუმცა სანადელს 89-ე წუთზე მიაღწიეს. მანამდე გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა გიორგი გულიაშვილს ჰქონდა, რომელმაც ახლო მანძილიდან სასწაულებრივ ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, გულიაშვილმა 3-ქულიანი დარტყმა მატჩის ბოლოს განახორციელა, რომელმაც ლამაზი გოლი გაიტანა.

ამ მატჩით დასრულდა ეროვნული ლიგის 2020 წლის სეზონის ნახევარი. პირველი წრის გამარჯვებული თბილისის დინამო გახდა. მოქმედმა ჩემპიონმა 5 მატჩი მოიგო, 3 ფრედ დაასრულა, მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და 18 ქულით პირველ პოზიციაზე განთავსდა.

თბილისელებმა ვიცე-ჩემპიონს ერთი ქულით გაუსწრეს – ბათუმის დინამოს 5 გამარჯვება და 4 ფრე აქვს. გია გეგუჩაძის გუნდი ჩემპიონატში ერთადერთი დაუმარცხებელია.

ლიდერთა სამეულს გორის დილა ასრულებს. გიორგი ნემსაძის გუნდისგან ასეთ სტარტს ცოტა თუ წარმოიდგენდა. 8 ტურის შემდეგ გუნდი ერთპიროვნული ლიდერი იყო და მხოლოდ ბოლო შეხვედრა, თბილისურ ლოკომოტივთან დათმო. 16 ქულით გორელები მე-3 პოზიციას იკავებენ.

მიმდინარე სეზონის აღმოჩენად შეიძლება მოვნათლოთ საფეხბურთო კლუბი თელავი. ელიგის დებიუტანტმა გუნდმა გულშემატკივარს თავი გამართული და ბრძოლისუნარიანი ფეხბურთით დაამახსოვრა, რაც შედეგშიც მშვენივრად აისახა: კახელებმა ერთადერთი მატჩი წააგეს (ექსჩემპიონ „საბურთალოსთან“) და 12 ქულით მეხუთე პოზიციაზე დაფუძნდნენ.

სეზონის საწყის ნახევარში თბილისის ლოკომოტივის სახით 2 განსხვავებული გუნდი ვიხილეთ. „რკინიგზელებმა“ საწყისი 2 ტური მოიგეს და პანდემიამდე ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტადაც მიიჩნეოდნენ, თუმცა კარანტინმა, ფინანსურმა პრობლემებმა და 4 მატჩში 2 მწვრთნელის შეცვლამ გუნდს თავის ხელი დაატყო. შესვენების შემდეგ პირველად, ჭიაბრიშვილის გუნდმა, მეცხრე ტურში იმარჯვა, როცა ლიდერი დილა მათსავე მოედანზე დაამარცხა და ამით საკუთარი ძალები შეგვახსენა.

რაც შეეხება ცხრილის ქვედა ნაწილს, აქ სხვებთან შედარებით, 2 ყველაზე სუსტი გუნდი პირველი წრეშივე გამოიკვეთა: დებიუტანტი მერანი ერთადერთია, რომელსაც გამარჯვების გემო ჯერ არ გაუგია და გამოკვეთილი აუტსაიდერია, საჩხერის ჩიხურას კი, გუნებას მხოლოდ მერანთან მოგება უკეთებს.

თანაბარ მდგომარეობაშია 2 იმერული კლუბი: სამტრედია და ქუთაისის ტორპედო. ისე ჩანს, რომ ეს გუნდები ეროვნულ ლიგაში დარჩენის საქმეში ერთმანეთის მთავარი მეტოქეები იქნებიან.

ისევე, როგორც ლიდერთა შორის, სიმჭიდროვეა ბომბარდირთა დავაშიც. გვყავს მხოლოდ ორი ფეხბურთელი, რომელიც 5-ბურთიან ნიშნულს გადასცდა: მიკოლა კოვტალიუკი და ჯაბა ჯიღაური.

აქვე ჩვენი სიმბოლური ნაკრები პირველი წრის შემდეგ:

**მეკარე:** როინ კვასხვაძე (დინამო თბ);

**მცველები:** მამუკა კობახიძე (დინამო ბთ), რაფაელ ჩუკვურა (თელავი), დავით ხურცილავა (დილა), დავით კობოური (დინამო თბ);

**ნახევარმცველები:** ვიტორ პერნამბუკო (დინამო თბ), ირაკლი რუხაძე (თელავი), სანდრო ალთუნაშვილი (საბურთალო), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ);

**თავდამსხმელები:** მიკოლა კოვტალიუკი (დილა), ჯოვინო ფლამარიონი (დინამო ბთ);

**მწვრთნელი:** კახა ჩხეტიანი (დინამო თბ).

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 9 | 5 | 3 | 1 | 16:4 | 18 |
| 2.დინამო (ბთ) | 9 | 4 | 5 | 0 | 16:5 | 17 |
| 3.დილა | 9 | 4 | 4 | 1 | 14:6 | 16 |
| 4.საბურთალო | 9 | 4 | 4 | 1 | 11:7 | 16 |
| 5.ლოკომოტივი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:14 | 12 |
| 6.თელავი | 9 | 2 | 6 | 1 | 9:6 | 12 |
| 7.ტორპედო | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | 9 |
| 8.სამტრედია | 9 | 2 | 2 | 5 | 7:16 | 8 |
| 9.ჩიხურა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:16 | 5 |
| 10.მერანი | 9 | 0 | 4 | 5 | 3:14 | 4 |

# ქართული რაგბი დაშლის პირას



ქართულ რაგბში საგანგაშო მდგომარეობაა. შესაძლოა, ეროვნული ჩემპიონატი ვეღარ განახლდეს. საქართველოს რაგბის კავშირში შემავალი კლუბები პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი გორგასლიძისადმი მიმართვას ავრცელებენ. განცხადებას ხელს 31 კლუბი აწერს, რომელთა აზრითაც, თუკი უახლოეს პერიოდში გადამჭრელი ნაბიჯები არ გადაიდგა, მდგომარეობა სულაც კრიტიკული გახდება.

– როგორც თქვენთვის ცნობილია, რაგბის კლუბების უმრავლესობა შესულია ღრმა ფინანსურ კრიზისში, რისი მთავარი მიზეზია კლუბებზე გამოყოფილი მწირი რესურსი, რომელიც 2011 წლის შემდეგ არ გაზრდილა, ხოლო პანდემიამ და რაგბის კავშირის უმოქმედობამ აღნიშნული კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა. დღეს შექმნილია სიტუაცია, როცა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ამ კრიზისის დაძლევა. რაგბის კავშირის უმოქმედობის ფონზე იძულებული გავხდით, ივნისის თვიდან სარაგბო კლუბები შევკრებილიყავით ქართული რაგბის გადასარჩენად და ერთად შეგვემუშავებინა იმ ღონისძიებების ნუსხა, რომელთა განხორციელება, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება გადაუდებელი პრობლემების დაძლევაში. აღნიშნული ღონისძიებები წარვადგინეთ რაგბის კავშირის ყოფილ პრეზიდენტთან და მთავრობის წარმომადგენლებთან. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოთქვა მზაობა ამ რთული სიტუაციის მოსაგვარებლად, ფინანსური დახმარება გაეწია სარაგბო კლუბებისთვის. ასევე მიღებულ იქნა რეკომენდაცია შექმნილიყო კრიზისის მართვის ჯგუფი, რომელსაც კოლექტიურად უნდა ემართა რაგბის კავშირი, მოეგვარებინა ჩემპიონატის განახლების საკითხი და მიეყვანა კავშირი პრეზიდენტის არჩევნებამდე, რომელიც გამგეობის გადაწყვეტილებით ამა წლის დეკემბრის ბოლოს ჩატარდება. ნიშანდობლივია, რომ გადაწყვეტილება ანტიკრიზისული საბჭოს შექმნის შესახებ ასევე გაჟღერებულია ყოფილი პრეზიდენტის გადადგომის განცხადებაში.

სამწუხაროდ, დღევანდელი რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი გორგასლიძის მიერ:

1. დღემდე არ შექმნილა ზემოაღნიშნული საბჭო;

2. არის მცდელობა, რომ საბჭოს ფუნქცია მართვის ნაცვლად ჩანაცვლდეს მრჩევლის ფუნქციით;

3. მიმდინარეობს ხელის შეშლა კლუბების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ წარდგენილი კანდიდატების საბჭოში შეყვანაზე;

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი დაკარგული დღე იწვევს აუნაზღაურებელ ზარალს ქართული რაგბისთვის და საბჭოს შექმნა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რათა სწრაფად მოხდეს სახელმწიფოს მიერ კლუბებისთვის რესურსის გამოყოფა და რაც შეიძლება სწრაფად განახლდეს ჩემპიონატი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ კიდევ უფრო შეგვიმცირდება რაგბში ჩართული ბავშვების ოდენობა. გაიზრდება ლიგის მოთამაშეების სხვა ქვეყნის დაბალი დონის ლიგებში გადასვლის ან სულაც რაგბიდან წასვლის შემთხვევები.

აქვე დავძენთ, რომ თუ ყველა კლუბში უახლოეს დღეებში არ აღდგება ვარჯიშები ისე, რომ მაქსიმუმ 26 სექტემბრამდე განახლდეს საქართველოს ჩემპიონატი, დაირღვევა მსოფლიო რაგბის რეკომენდაცია და, სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრები მოკლებულ იქნება შესაძლებლობას ეთამაშოს შოტლანდიის ნაკრებს და მას დამატებითი პრობლემები შეექმნება რუსეთთან გასამართ მატჩთან დაკავშირებით.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკვე ძალიან მივუახლოვდით იმ ზღვარს, რომლის გადაკვეთის შემდეგაც რაგბის გადარჩენა და არსებულ სიმაღლეებზე დაბრუნებას დასჭირდება ათჯერ მეტი რესურსი და ენერგია, ვიდრე დღეს არის საჭირო. ამ ყველაფერმა შესაძლოა საბოლოოდ გამოიწვიოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების დასუსტება და უამრავი თაობის წვალებით მოტანილი სარაგბო რეპუტაციის გაქრობა საზოგადოებაში. ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს მსოფლიო სარაგბო რუკაზე საქართველოს სახელის გაქრობას, რაც წარმოუდგენელი დარტყმა იქნება ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში, რათა ერთად გადავარჩინოთ ქართული რაგბი. აქვე გაცნობებთ, რომ პარასკევს, 14 აგვისტოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაგბის კავშირში იგეგმება პრესკონფერენცია, სადაც დაწვრილებით გაგაცნობთ საქმის მიმდინარეობას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ თანამდებობა ივლისის მიწურულს დატოვა და მიზეზად სარაგბო სამყაროში შექმნილი კრიზისი დასახელდა, რის გამოც ჯერ ეროვნული ჩემპიონატი – დიდი 10-ის განახლებაც კი ვერ მოხერხდა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი გორგასლიძე აირჩიეს, რომელიც რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტად 2008 წლიდან მუშაობს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მომდევნო არჩევნების ჩატარება მიმდინარე წლის დეკემბერშიღა იგეგმება. პრეზიდენტობისთვის ბრძოლას იმავე სვანიძის გარდა, ეროვნული ნაკრების ყოფილი მორაგბე ირაკლი აბუსერიძე და ბაჩო ხურციძე აპირებენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## სამგლოვიარო განცხადებები

იბო დოლიძეს გარდაეცვალა შვილი

**კახა დოლიძე**

მისამართი: ყაზბეგის ქ. №4.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ისტორიული ციხე-სიმაგრე აჭარაში; 2. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 3. ამერიკელი მწერლის ო'ჰენრის ნამდვილი გვარი; 4. წითელი ფერის ძვირფასი თვალი; 5. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი; 10. ერთკუზიანი აქლემი; 11. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში; 14. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამამზადებელი ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. ფულის საერთაშორისო ერთეული; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში. 25. კანადის დედაქალაქი; 26. პატარა ბუ.

**თარაზულად:** 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. ცნობილი იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი; 15. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. სასტუმრო „თბილისი-მერიოტის“ ძველი სახელწოდება; 19. დასაკეცი ჯიბის დანა; 21. მდინარე პოლონეთში; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პაციფისტი; 2. ვიოლინო; 3. ჯიქი; 4. ბაფტა; 5. სტურუა; 11. ბაკარა; 12. ვიტესი; 14. ტუფი; 16. სორბონა; 17. მაესტრო; 19. ბერლინი; 21. ურალი; 22. ლიოვი.

**თარაზულად:** 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტევრი; 9. ოფორტი; 10. ბზობა; 13. შტატი; 15. ესკალატორი; 18. საქსები; 20. არქი; 21. უტზონი; 23. კალიფორნია; 24. რიგელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხურმა; 2. დროშა; 3. ყიფშიძე; 4. კები; 5. ალია; 6. ვიოლინო; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. დირიჟაბლი; 14. გურჯი; 16. გრიგი; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. დაზგა; 25. მატიე; 26. შინი.

**თარაზულად:** 7. პირომეტრი; 8. შოტლანდია; 12. დიუმა; 13. სირია; 15. სტეკა; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. ტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 აგვისტო


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0785

ევრო — 3.6237

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0137

100 რუსული რუბლი — 4.2107

## ამინდის პროგნოზი 13 აგვისტოსათვის




## მეხანძრეები ამოუხსნელ მოვლენას გადააწყდნენ და ზებუნებრივი ძალების იწამეს



არგენტინაში, პროვინცია სანტა-ფეში გამოძახებაზე მისული მეხანძრეები ამოუხსნელ მოვლენას გადააწყდნენ.

მეხანძრეები ადგილობრივი ფერმერების საძოვარზე გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად მივიდნენ. ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა და მისი ტყესა და ნაგებობაზე გავრცელების საშიშროება იქმნებოდა. მეხანძრეთა ბრიგადა გერმან ჩეკის ხელმძღვანელობით რამდენიმე საათი ებრძოდა ცეცხლს. როდესაც ხანძრის ლიკვიდირება მოხერხდა, სრულიად გადამწვარი მინდვრის შუაგულში მათ ცეცხლისგან სრულიად ხელუხლებელი ნაკვეთი აღმოაჩინეს, რომლის შუაგულშიც დაღუპული გოგონას პატივსაცემად ქანდაკება იყო აღმართული.

ცეცხლის გაჩენის მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმცა მეხანძრეთა თქმით, ადგილობრივი კლიმატისთვის ასეთი მოვლენა იშვიათობას არ წარმოადგენს. ასევე გაურკვეველი დარჩა ხანძრის მიერ ხელუხლებელი ნაკვეთის გადარჩენის მიზეზი. ჩეკიმ, რომელიც 25 წელზე მეტია მეხანძრედ მუშაობს, აღიარა, რომ ასეთ მოვლენასთან შეხება აქამდე არასოდეს ჰქონია.

– მე განსაკუთრებულად მორწმუნე ადამიანი არ ვარ, მაგრამ შეხედეთ ამ ერთიანად გადამწვარ მინდორს და ამ სრულიად ხელუხლებელ ნაკვეთს შუაში სიწმინდით, – განაცხადა ჩეკიმ.

გაირკვა, რომ მემორიალი შუაში აღმართული ქრისტიანული ჯვრით ადგილობრივმა მცხოვრებმა ჰიუგომ დადგა 1997 წელს ავტოკატასტროფაში დაღუპული 13 წლის ქალიშვილის პატივსაცემად. მისი თქმით, წმინდა ადგილი იმიტომ გადარჩა, რომ მისი გოგონა დავიწყებული არ არის.

– დიდი ცეცხლი იყო, ამ ადგილს კი ცეცხლი არ გაეკარა. ეს შთამბეჭდავია. მჯერა და ვიცი, რომ ღმერთმა იზრუნა ჩემ სიწმინდეზე. ეს ამტკიცებს, რომ ღმერთი ჩვენთანაა, – დაასკვნა არგენტინელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროფესორი გრივერ ფარულავა გარდაიცვალა



84 წლის ასაკში პროფესორი, ძველი ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევარი, ღირსების ორდენის კავალერი გრივერ ფარულავა გარდაიცვალა. გრივერ ფარულავას სტუდენტი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი ფილოლოგთა არაერთი თაობა. იგი მრავალი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხულობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

გრივერ ფარულავა იკვლევდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების, ესთეტიკისა და ლიტერატურის პრობლემებს, კითხულობდა სპეცკურსებს ამ მიმართულებით. მკვლევართა და ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული მკითხველისთვის საყოველთაოდ ცნობილია მისი წიგნები: „მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში“, „ჰაგიოგრაფია – ხელოვნება ხელოვნების შესახებ“...

პროფესორი წლების განმავლობაში იყო თბილისის სასულიერო აკადემიის ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

2018 წელს პრეზიდენტმა გრივერ ფარულავა ღირსების ორდენით დააჯილდოვა სახელმწიფო ენის შენარჩუნების, ენის, როგორც უწყვეტი სააზროვნო პროცესის ჩამოყალიბებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის, ასევე, ქართული ენის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის განათლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

გრივერ ფარულავას უკანასკნელ გზაზე შაბათს სიონის ტაძრიდან გააცილებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 13 აგვისტოსათვის

**ვერძი** – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი, რატომ დასდევენ ძაღლები მიმავალ მანქანებს?

– არა, რატომ?

– იმიტომ, რომ მათში გარდაცვლილი ავტოინსპექტორების სულებია ჩასახლებული.

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, ჩემი გულითადი მილოცვა მიიღე! დარწმუნებული ვარ, რომ ეს დღე შენ ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღედ გაგახსენდება.

– მადლობა, მამა, მაგრამ ქორწილი ხომ ხვალ არის...

– შვილო, კარგად ვიცი, რასაც ვამბობ!

●●●

ქმარი ცოლს უყურებს, როგორ აცხობს ღვეზელებს, ბოლოს კი ვეღარ მოითმინა და ეუბნება:

– ძვირფასო, გიყურებ და ვერ გამიგია, რისთვის გიკეთია ეგ წინსაფარი, თუკი ხელებს მაინც უკანალზე იწმენდ?

●●●

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, სამოცდაათი წლის ვარ და ისევ გოგონებს დავდევ უკან.

– მერე, ეს ხომ შესანიშნავია!

– ჰო, მაგრამ არ მახსოვს, რისთვის დავდევ!

●●●

ფირმის ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს ეუბნება:

– ჩვენი ფირმის წესების თანახმად, თქვენ საკუთარი ხელფასის ოდენობის გამჟღავნება გეკრძალებათ.

– დიახ, და არც ვაპირებ ვინმეს წინაშე თავის შერცხვენას...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „დიდი სცენა“ აკაკი პაპუნიდმა დატოვა



მუსიკალური შოუს „დიდი სცენის“ მეექვსე საკონკურსო ტური კომპოზიტორ გია ყანჩელის ხსოვნას მიეძღვნა. ნახევარფინალისტებში აკაკი პაპუნიდი ვერ მოხვდა. მან შოუ მეექვსე საკონკურსო ტურში დატოვა. გავარდნის კანდიდატი მასთან ერთად თინა დათიკაშვილი იყო, თუმცა მაყურებელმა ხმა თინას მისცა და აკაკი პროექტს მიღმა აღმოჩნდა.

„დიდი სცენის“ მეექვსე ლაივ შოუზე, მაყურებლის რჩეული გახდა ლევან ყანდიაშვილი, მაყურებლის და ჟიურის ქულათა ჯამით ლევანმა ლიდერობა არავის დაუთმო.

რაც შეეხებათ ბოლო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს თინა დათიკაშვილს, ცოტნე ბარბაქაძეს და გიორგი ფუტკარაძეს, ბოლო სამ ადგილზე გასული კონკურსანტებიდან ჟიურიმ თავის რჩეულად ცოტნე ბარბაქაძე დაასახელა, შესაბამისად, შემდეგ ტურში კონკურსს ან თინა დათიკაშვილი, ან გიორგი ფუტკარაძე გამოეთიშება.

ნახევარფინალური ტური სწორედ თინა დათიკაშვილისა და გიორგი ფუტკარაძის დუეტით დაიწყება. მეშვიდე საკონკურსო ტურში მათთვის ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება მეშვიდე ლაივის დაწყებისთანავე. დუეტის შესრულების დროს, ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ აუტსაიდერებისთვის. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი გავარდნის კონკურსანტი დატოვებს პროექტს, მაყურებელი უკვე ნებისმიერ კონკურსანტს დაურეკავს და ხმას მისცემს, მათ შორის პროექტში დარჩენილ აუტსაიდერსაც ლაივის დასრულებამდე.

## ზურა ყიფშიძე 67 წლის გახდა



თეატრისა და კინოს მსახიობი ზურა ყიფშიძე 67 წლის გახდა. როგორც მსახიობი აღნიშნავს, მისთვის საყვარელი საქმე უმთავრესია. მსახიობობა კი მისთვის თავდაუზოგავი შრომაა.

საქართველოს თეატრალური უნივერსიტეტიდან ორჯერ გარიცხული მსახიობი სასწავლებლად რუსეთში წავიდა. მოსკოვში სწავლისას მან დიდ წარმატებებს მიაღწია.

ლანა ღოღობერიძის მიერ გადაღებული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“ კი იუბილარი მსახიობის ცხოვრებაში საეტაპო აღმოჩნდა. სწორედ აქედან დაიწყო ზურა ყიფშიძის წარმატებული კარიერა ქართულ კინოსა და თეატრში.

მიუხედავად იმისა, რომ ლენა ყიფშიძის შვილი იყო, ეს მხოლოდ ხელს უშლიდა და არანაირი პრივილეგიებით არ სარგებლობდა. როგორც თავად ამბობს, ყველაფერს თავისი უწყვეტი მუშაობით მიაღწია და დღეს თუკი რამეს წარმოადგენს, მაყურებლის უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულის დამსახურებაა.

## გიორგი უშიკიშვილი ხელოვანების საფლავების მოძიებას და აღდგენას მიესალმება



ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი მიესალმება ღვაწლმოსილი ხელოვანების საფლავების მოძიებასა და აღდგენას:

– მედიაში მოვკარი თვალი, რომ აღმოაჩინეს და აღადგინეს ცნობილი გურული მომღერლების, ძმები ხუხუნაიშვილების საფლავი. როგორც ვიცი, დათო ცინცაძეა ამ საქმის ინიციატორი.

1996 წელს მე და ჩემმა მეგობრებმა დავიწყეთ ჩვენი ღირსეული წინაპრების საფლავების მოძიება და მოვლა. პირველი იყო ფირუზ ალიაშვილი, უენო სალამურის უბადლო შემსრულებელი. შემდეგ კი თელავის გუნდის შესანიშნავი მომღერალი გიორგი ფეიქრიშვილი. ჩვენი ხელით გავწმინდეთ, ქვა დავდგით, ხალხიც მივიყვანეთ და კარგი კონცერტიც გავმართეთ და ეს ყველაფერი ჩვენი ძალებით და ფინანსებით. სასიხარულოა, რომ დღესაც გრძელდება ეს მნიშვნელოვანი საქმე.

## „ელექტრონავტმა“ საუკეთესოები დააჯილდოვა




„ელექტრონავტების“ არსებობის ისტორიაში პირველად, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ე.წ. ლაივ სტრიმით“ ფორმატით გავიდა ეთერში. რიგით მე-11 დაჯილდოების ცერემონიალზე საუკეთესოები დასახელდნენ:

– პირველად ელექტრონავტების ისტორიაში, დაჯილდოების ცერემონიალი ლაივ სტრიმ ფორმატით გავიდა. ღონისძიების მსგავსი სახით ჩატარების იდეა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებისდა გამო გაჩნდა, თუმცა საბოლოო შედეგი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა როგორც ჩვენთვის, ასევე მაყურებლისთვისაც. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა მხარდამჭერსა და მუსიკოსს, რომლებმაც ძალისხმევა არ დაიშურეს ამ საღამოს ორგანიზებისა და საოცარი მუსიკალური პროგრამის შექმნისთვის. საკმაოდ საინტერესო და აქტიური წლის შეფასება ხვდა წილად წლევანდელ ელექტრონავტების დაჯილდოების ცერემონიალს. ვულოცავთ ყველა გამარჯვებულ ნომინანტს დამსახურებულ გამარჯვებას და კიდევ უფრო წარმატებულ წელს ვუსურვებთ, – აღნიშნულია ღონისძიების ორგანიზატორთა ოფიციალურ განცხადებაში.

ფესტივალის გამარჯვებულები კი გახდნენ: წლის ფესტივალი – თბილისი ოპენ ეარი, წლის საუკეთესო ვიდეო – მოკუ მოკუ, წლის ლეიბლი – ლენო რექორდსი, წლის საუკეთესო ალბომი – კაიაკატა, წლის საუკეთესო თრეკი – კაიკატა, წლის მედია პროექტი – აკუსტიკა, წლის აღმოჩენა – ერეკლე გეწაძე, წლის დიჯეი – დიჯეი ჯი, წლის ლაივ შესრულება – მოკუ მოკუ და ელექტრონავტი XI – კაიაკატა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 3. უღელტეხილი კავკასიონზე; 4. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 5. გულგრილობა, უინტერესობა ყველაფრისადმი; 11. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 12. პოპულარული კლიმატური კურორტი ლიეტუვაში; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 16. ძვირფასი ქვების ძველი ქართული საერთო სახელწოდება; 17. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 21. კომბინაცია პოკერში; 22. იაპონური ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოს ლინგვისტიკაში; 8. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 9. სისხლნაკლებობა; 10. მტრედის ბარტყი; 13. ოპტიკური მინა; 15. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 20. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 21. არაბი გლეხი; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული საერთაშორისო კონფერენცია; 24. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

